



ქალთა ფონდი საქართველოში  
WOMEN'S FUND IN GEORGIA

# ვირტუალური კომუნიკაციების როლი თბილისელ ლესბი ქალთა ცხოვრებაში

(“არასოდეს დამავიწყდება, რომ ყველაფერ საუკეთესოს ჩემს ცხოვრებაში  
ინტერნეტს უნდა ვუმაღლოდე”)

**შორენა ბაბუნია**

© ყველა უფლება დაცულია  
თბილისი, 2010 წელი

## ABSTRACT

*The given research represents an attempt to study the problems of so-called “sexual minorities”, through internet sociology. Specifically, the research focuses on the problems of those lesbian women living in Tbilisi to whom internet is the only way to reveal their sexual orientation.*

*Along with other minority groups, lesbian women frequently become victims of ingrained homophobic, xenophobic and sexist attitudes in contemporary Georgian society. The research reveals their attitude towards their own lifestyles and other lesbians as well. Social environment often forces individuals to choose appropriate compulsory lifestyle. In this process, social status plays significant role together with mentality, religious views etc. In such situation, we often confront with internalized homophobia, when the individual applies to all methods and tools to distance from own “shameful” sexuality and therefore, to consider oneself as a full member of society. However, the research shows that lesbian inhabitants of Tbilisi actively apply to other ways to integrate into society, e.g. coming-out or intermediate position (to come out to concrete individual in the preferred space).*

*მოცემული ნაშრომი წარმოადგენს ე.წ. “სექსუალური უმცირესობების” წარმომადგენელთა, კერძოდ, თბილისელ ლესბოსელ ქალთა პრობლემების შესწავლის მცდელობას ინტერნეტ სოციოლოგიის მეშვეობით. ნაშრომში აქცენტი აღებულია თბილისელი ლესბოსელების იმ კატეგორიაზე, ვისთვისაც ინტერნეტი საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნების ერთადერთი გზაა.*

*თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში აგრერიგად ფესვგადგმული ჰომოფობიური, ქსენოფობიური და სექსისტური განწყობების მსხვერპლნი სხდასხვა უმცირესობასთან ერთად, ლესბოსელი ქალებიც ხშირად ხდებიან. კვლევაში წარმოჩენილია მათი დამოკიდებულება როგორც საკუთარი ცხოვრების სტილის, ასევე, სხვა ლესბოსელთა მიმართაც. ხშირად, სოციალური გარემო ინდივიდს თავის მარწუხებში აცეცეს და აიძულებს, აირჩიოს მისი შესაბამისი ცხოვრებისეული სტრატეგია. ამ პროცესში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ინდივიდის სოციალური სტატუსი, მისი მენტალობა, რელიგიური შეხედულებები და ა.შ. ამ სიტუაციაში, საკმაოდ ხშირია ინტერნალიზირებული ჰომოფობიის შემთხვევები, როდესაც ჰეტეროსექსისტურ საზოგადოებაში თავის დამკვიდრების მიზნით ინდივიდი მიმართავს ყველა ხერხსა და საშუალებას, რომ ფორმალურად მაინც გაემიჯნოს საკუთარ “სამარცხვინო” სექსუალობას და თავი საზოგადოების “სრულუფლებიან” წევრად იგრძნოს. თუმცა, როგორც კვლევა გვიჩვენებს, თბილისელი ლესბოსელები აქტიურად მიმართავენ საზოგადოებაში ინტეგრაციის სხვა ხერხებსაც – “ქამინგ-აუტსა” და შუალედურ პოზიციას – საკუთარი სექსუალობის გაჟღერებას მხოლოდ მოცემული ინდივიდისათვის სასურველ სივრცეში.*

**შესავალი**

დღესდღეობით, საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს შორის, ინტერნეტი - მსოფლიო აბლაბუდა - ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ საშუალებას წარმოადგენს. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტერნეტის აქტიურმა დამკვიდრებამ ძირფესვიანად შეცვალა ადამიანის ტრადიციული აქტივობის ასპარეზი და სოციალური ქსელების დინამიკა. კიბერსივრცე თანამედროვე სამყაროში სოციალური რეალობის უმთავრესი კომპონენტი გახდა. ადამიანის კულტურულმა, ტექნოლოგიურმა, სოციალურმა და ინსტიტუციურმა აქტივობამ რეალურიდან ვირტუალურ სივრცეში გადაინაცვლა.

სოციალური ქსელების ელექტრონულ-ვირტუალურ სიბრტყეზე გაშლამ თავისთავად ბევრი საყურადღებო დისკურსი წარმოშვა. ინტერნეტ-კომუნიკაციების ემპირიული კვლევების წარმოება შესაძლებლობას გვაძლევს, თვალი ვადევნოთ თანამედროვე საზოგადოების – “ინფორმაციული საზოგადოების” სოციალური აქტივობის დინამიკას. ვირტუალურ სივრცეში ყალიბდება უამრავი სხვადასხვა თემი (virtual community). ისინი მოქმედებენ განსაკუთრებული, მხოლოდ იმ კონკრეტული წრისათვის დადგენილი წესებით. ხშირად ეს წესები არაფორმალურია, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი.

მოცემულ კვლევაში ასახულია ლგბტ ჯგუფის წარმომადგენელთა, კერძოდ, თბილისელ ლესბოსელ ქალთა ვირტუალური აქტივობის დინამიკა. სხვადასხვა სოციალური ფაქტორის გათვალისწინებით, დასახელებული ჯგუფი საკმაოდ მოწყვლადია. ინტერნეტი წარმოადგენს ერთ-ერთ (ხშირ შემთხვევაში ერთადერთ) საშუალებას, სადაც მისი წარმომადგენლები თავს მეტ-ნაკლებად კომფორტულად გრძნობენ. ეს გარემოება კი, თავისთავად, მათ მიერ ინტერნეტ რესურსების აქტიურ გამოყენებასა და მათ ვირტუალურ სოციალიზაციას განაპირობებს. რასაკვირველია, ინტერნეტის ამგვარი პოპულარობა დასახელებული ჯგუფის წევრებს შორის კანონზომიერი მოვლენაა, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებებს შორის მხოლოდ ინტერნეტი იძლევა გაცნობისა და ურთიერთობის არნახულად მრავალფეროვან შესაძლებლობებს. ამასთან, მომხმარებელს ეძლევა საშუალება, საკუთარი ანონიმურობა მართოს განუსაზღვრელი დროის მანძილზე. ფაქტიურად, დასახელებული ჯგუფის წარმომადგენელთათვის ვირტუალური სივრცე ხშირად რეალური სივრცის ჩასანაცვლებლად გამოიყენება, როგორც თვითიდენტიფიკაციის გამოხატვის უალტერნატივო საშუალება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ თბილისელ ლესბი ქალთა აუდიტორიის წარმოჩენა ამ კუთხით ყველაზე შესაბამისი იქნებოდა. აგრეთვე, საკვლევ მასალას წარმოადგენს სოციალურ ურთიერთქმედებათა და კულტურულ ფაქტორთა გავლენის სფეროები პირად მოტივაციათა ფორმირების საკითხებში, რომლებიც ინდივიდს უბიძგებენ საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გაცხადების (coming out) ან დაფარვისკენ (closet).

სექსუალობის, როგორც სოციალური ფენომენის განხილვა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, თუ როგორ მოდის წინააღმდეგობაში ნორმატიული გენდერული სისტემის მოთხოვნები ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. ამის შედეგად ინდივიდუალური სტრატეგიები ხშირად გადაკვეთენ სოციალური სტრუქტურის მოცემულობას. სექსუალური უმცირესობების სოციალური სტრატეგიების კვლევა უკავშირდება თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე სოციოკულტურულ პროცესებს, ინტიმურობის ცნების ტრანსფორმაციას პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში, სადაც ცხოვრებისეული პრაქტიკების ინდივიდუალიზაცია აღიარებასა და ლეგიტიმაციას იძენს.

თბილისში (და ზოგადად საქართველოში) ე.წ. “სექსუალური უმცირესობების” (ლგბტ ჯგუფის) მიმართ საკმაოდ არასახარბიელო დამოკიდებულება გავრცელებული. საზოგადოების დიდი ნაწილი არაპატრიარქალური, ლიბერალური ღირებულებების მიმართ ხშირად აგრესიულადაა განწყობილი. რასაკვირველია, ჰომოფობიური ფონი ქმნის ისეთ გარემოს, სადაც ძნელია,

ინდივიდმა საკუთარი სექსუალური იდენტობის გაცხადების პარალელურად მოახერხოს დაუბრკოლებელი სოციალიზაცია.

ამ მხრივ განსაკუთრებულად საყურადღებოა თბილისელ ლესბოსელ ქალთა მდგომარეობა. საქმე იმაშია, რომ საქართველოში წლების მანძილზე ჩამოყალიბებული წარმოდგენა ქალის საზოგადოებრივ როლსა და ფუნქციებზე გულისხმობს სტატიკურ სტერეოტიპს, რომლის მიხედვითაც ქალის ფუნქცია დედობითა და ოჯახის მოვლით შემოიფარგლება. ქალისათვის საზოგადოებრივ ასპარეზზე ასეთი მწირი ადგილის მიჩენას გააჩნია საკმაოდ საინტერესო ტრადიცია, თუმცა ამაზე საუბარი სცილდება ჩემი კვლევის ფარგლებს. დღესდღეობით, სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით, ქართულ საზოგადოებაში ქალის როლი ნელ-ნელა მეტ მნიშვნელობას იძენს. საგრძნობლად იზრდება საზოგადოების ევროპეიზირებული ნაწილის რიცხვი, რომელიც არ იზიარებს ამგვარ ბიოლოგიურ დეტერმინიზმს და ლიბერალური ფასეულობების მიმდევარია. სულ უფრო და უფრო მატულობს თანამედროვე ცხოვრების რითმში აქტიურად ჩაბმულ თბილისელ ქალთა რაოდენობაც. თუმცა, ეს პროცესი სრულებითაც არ გამორიცხავს საზოგადოების იმ ნაწილის აქტიურობას, რომელსაც ქალის სოციალური ფუნქციის შესახებ საკმაოდ ნეგატიური და რეაქციული დამოკიდებულება გააჩნია. თანამედროვე თბილისის რეალურ სივრცეში მოდერნული და პატრიარქალური კულტურები ფაქტიურად პარალელურ რეჟიმში თანაარსებობენ. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებაში დღესდღეობით უმნიშვნელოვანეს ავტორიტეტად ეკლესია მოიაზრება, რაც, ავტომატურად, პატრიარქალური ღირებულებების უპირობო და შეუქცევად აღიარებას მოითხოვს საკუთარი მრევლისგან. შესაბამისად, ლგბტ ჯგუფის წარმომადგენელთათვის მოცემულ სიტუაციაში თითქმის წარმოუდგენელია საკუთარი სექსუალური იდენტობის უპრობლემოდ დეკლარირება. საქმე მით უფრო რთულდება, თუ საუბარი ეხება ლესბი ქალების ჯგუფს: საქართველოში ხომ ქალად ყოფნა უკვე თავისთავად საკმაოდ ბევრ აკრძალვასა და დისკრიმინაციას უკავშირდება. ჰეტეროსექსისტური გენდერული სისტემა გულისხმობს არა მხოლოდ სოციალურ დისკრიმინაციას. იგი მკაცრ ზღვარს უწესებს, ერთი მხრივ ნორმატიულ გენდერულ როლებს, მეორე მხრივ კი განაპირობებს ამ ზღვარს გადაცილებულ ინდივიდთა ნეგატიურ (თვით)იდენტიფიკაციას.

თბილისში დღესდღეობით ერთადერთი რეალური საჯარო სივრცე, სადაც ლესბოსელ, ტრანსგენდერ და ბისექსუალ ქალებს დაუბრკოლებელი თავშეყრა შეუძლიათ, არის ორგანიზაცია “ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი”, რომელიც პრიორიტეტულად ქალთა საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციაში მისულ ინდივიდს მაქსიმალურად ღია და თავისუფალი სივრცე ეძლევა საკუთარ სექსუალურ იდენტობასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემის დასაძლევად, მაგრამ, ამ კედლებს მიღმა კვლავ რჩება “განსხვავებული სექსუალობის” მქონე ქალთა საკმაო რაოდენობა, ვინც ვერ ან არ მიდის ორგანიზაციაში. სწორედ დასახელებული კატეგორიის რესპონდენტთა პრობლემების შესწავლას ეთმობა კვლევის ძირითადი ნაწილი.

მოცემული კვლევა ჩატარდა საქართველოს ქალთა ფონდის მხარდაჭერით, ქალთა სექსუალურ და გენდერულ იდენტობაზე დაფუძნებული დისკრიმინაციისა და ჰომოფობიის დასაძლევად გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში.

კვლევა დაფუძნებულია იმ შედეგებზე, რომლებიც გამოიკვეთა მასში ჩართულ აქტორთა პირადი ისტორიების საფუძველზე და არ მოიცავს თბილისელ ლესბი ქალთა სრული კონტინენტის მონაცემებს, რამეთუ ლესბი პრაქტიკა, ისევე როგორც ყველა სხვა, თავისი არსით უნიკალური და მრავალგვარია. კვლევის მიზანია თბილისელ ე.წ. “სექსუალური უმცირესობის” წარმომადგენელ ქალთა გენდერული პრობლემების წარმოჩენა ინტერნეტ სოციოლოგიის მოშველიებით, ვინაიდან მოცემული კატეგორია ჩვენთან ხშირ შემთხვევაში სტიგმატიზირებულად ითვლება და ამის გამო მის წინაშე ხშირად გადაულახავ წინაღობად დგას ხილვადობის, თვითიდენტიფიკაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინკლუზია-ექსკლუზიის პრობლემები. ამ შემთხვევაში კიბერსივრცე

განხილულია როგორც კვლევაში ჩართულ ინდივიდთა სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური გარემოს ამსახველი ფაქტორი.

\*\*\*

მიმდინარე თვისობრივ კვლევაში გამოყენებულია ე.წ. ტრიანგულაციური მეთოდი, რომელიც გულისხმობს:

1. ბიოგრაფიული, არასტრუქტურირებული, ინდივიდუალური ინტერვიუების ჩაწერას;
2. ე.წ. „დღიურის წარმოების“ მეთოდს ინფორმანტის სოციალური ქსელების დასადგენად;
3. დაგროვებული მასალის შედეგად განმეორებითი ინტერვიუების ჩაწერას.

იმისათვის, რომ კვლევაში უკეთ წარმოჩენილიყო თბილისელი ლესბი ქალების ცხოვრების წესი, მათი პრობლემები, სურვილები და იდეები, რესპონდენტები შეირჩა ერთმანეთისგან განსხვავებული ასაკის, სოციალური სტატუსისა და მენტალური თავისებურებების მქონე აქტორებს შორის. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა როგორც „ღია“ „გაცხადებულ“, ასევე „დახურულ“ ლესბი ინფორმანტებზე.

კვლევა გრძელდებოდა 5 თვის განმავლობაში. მასში მონაწილეობა მიიღო 36-მა თბილისელმა ინფორმანტმა, რომელთაც გარკვეული აქვთ საკუთარი სექსუალური იდენტობა და საკუთარ თავს ლესბოსელებად აღიქვამენ. ინფორმანტთა შერჩევის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მათი აქტიური და ხშირი კონტაქტი ინტერნეტ კომუნიკაციებთან საკუთარი სექსუალობის დეკლარირების მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის წარმოების პროცესი საკმაოდ დინამიკურად მიმდინარეობდა. თუმცა, მრავლად იყო სირთულეებიც. სირთულეები ძირითადად რესპონდენტთა ვირტუალურიდან რეალურ სივრცეში ინტერვიუებაზე დათანხმებას უკავშირდებოდა. პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და მტკივნეული იყო, რადგან რეალურ სივრცეში გადმონაცვლებას აქტორები ხშირად განიხილავდნენ როგორც ქამინგ-აუტის, ანუ საკუთარი სექსუალობის გასაჯაროების აქტს. ის, რის დეკლარირებას ინტერნეტში გამოგონილი „ნიკითა“ და სტატუსით ახდენდნენ, ახლა რეალურად უნდა გაეთავისებინათ. რესპონდენტებს საკმაოდ უჭირდათ ამის გაკეთება. იყო შემთხვევები, როდესაც ინფორმანტი რეალურად გახსნას მხოლოდდა ხუთი და ექვსი პირადი შეხვედრის შემდეგ ახერხებდა. საბოლოოდ, მკვლევარის პირისპირ არაფორმალურ გარემოში მრავალჯერადმა საუბრებმა მაინც თავისი დადებითი შედეგი გამოიღო თითქმის ყველა რესპონდენტთან და ვირტუალურად დაწყებული თანამშრომლობა მკვლევარსა და აქტორს შორის პროდუქტიულად გაგრძელდა უკვე რეალურ სივრცეში.

ინფორმანტებისთვის საკუთარ პრობლემებზე საუბარი საკმაოდ რთული აღმოჩნდა. მათი უმეტესი ნაწილისთვის ეს იყო „აღსარება“ უადრესად პირადულ, ინტიმურ საკითხებზე. ამიტომაც, დამაბულობის მოსახსნელად და საუბრის დასაწყებად მათ საკმაოდ დრო სჭირდებოდათ. რესპონდენტები საკმაოზე მეტს ღელავდნენ, ხშირად, გაუცნობიერებლად, მათი საუბარი ურთიერთგამომრიცხავი და არათანამიმდევრული მსჯელობებისგან შედგებოდა. ისინი ხშირად მიმართავდნენ დაახლოებით ასეთი შინაარსის ფრაზებს: „მართალია, მე ასე ვიქცევი, მაგრამ ვიცი, რომ სხვებიც ასე იქცევიან“; „მგონია, რომ სწორად ვიქცევი“; „მეშინია, ჩემი საქციელით ვინმე არ დავაზიანო“ და ა.შ, რაც მათში თავდაჯერების ნაკლებობისა და საკუთარ პიროვნებაში დაქვეების დადასტურებაა. ჩემი აზრით, ეს არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმ საზოგადოებრივ ფონს, სადაც მათ უხდებოდათ ცხოვრება.

**1. თბილისელ ლესბი ქალთა პრობლემები – ლახურულობის სოციალური ფაქტორი**

**1.1. რეალური სივრცე, როგორც “ოაზისი”**

როგორც უკვე ითქვა, დამოკიდებულება ე.წ. “სექსუალური უმცირესობების” მიმართ, ისევე როგორც ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, საქართველოშიც არ გამოირჩევა ტოლერანტულობის მაღალი ხარისხით. ეს ტენდენცია სრულიად ლოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჰომოსექსუალობა საბჭოთა კანონმდებლობის თანახმად სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლებოდა. ჰომოსექსუალობის დეკრიმინალიზაცია საქართველოში მხოლოდ 2000 წელს მოხდა. მაგრამ, საბჭოთა ადამიანების ცნობიერებაში ჩადებული ქსენოფობიური დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ინერციით პრეზერვირდება დღემდე. საზოგადოების ამ თვალსაზრისს ამყარებს მასმედიაც, რომლის დამოკიდებულებაც ლგბტ ჯგუფის ადამიანების მიმართ ხშირ შემთხვევაში უტრირებულ და კარიკატურულ ფორმებს იძენს.

ყველაფერი ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში არსებულ ჰომოფობიური ფონი ფაქტიურად გადამწყვეტ როლს თამაშობს ლგბტ ადამიანთა იდენტობის ჩამოყალიბებაში. რასაკვირველია, აქ არ არის და არც შეიძლება საუბარი იყოს “ქამინგ-აუტზე”, როგორც წარმატებულად აპრობირებულ პრაქტიკაზე (“ღია” ლესბოსელების რაოდენობა თბილისში საკმაოდ მწირია). ასევე მწირია იმ საჯარო თუ პრივატული სივრცეების რაოდენობა, რომლებიც ინდივიდს აძლევენ საშუალებას, პრობლემებისა და დაბრკოლებების გარეშე გამოხატონ თავიანთი სექსუალური ორიენტაცია.

დღესდღეობით ლესბოსელ, ბისექსუალ და ტრანსგენდერ ქალთა თავშეყრის ერთადერთ საჯარო სივრცეს თბილისში (და ზოგადად საქართველოში) ორგანიზაცია “ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი” წარმოადგენს. ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ იზრუნა იმაზე, რომ აქ მოსულ ინდივიდს მაქსიმალური კომფორტი დახვდეს. აქ დიდი ყურადღება ეთმობა ჯანმრთელობის დაცვის ხაზით განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებს, რეგულარულად ტარდება ლექციები, დისკუსიები, კინოჩვენებები, შემეცნებითი საუბრები ცნობილ ადამიანებთან. ქალთა უფლებების დაცვის გარდა, ორგანიზაციის პრიორიტეტულ საქმიანობაში შედის სამეცნიერო, საქმიანი და კულტურული გაცვლების ორგანიზება.

*“ორგანიზაციის არსებობის შესახებ მეგობრისგან შევიტყვე. უკვე რახანია არც ერთი შეკრება არ გამიცდენია. აქაური სიტუაციის უპირატესობა იმაში მგდომარეობს, რომ აქ მოდიან ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანები. მეეჭვება, ასეთი ჭრელი საზოგადოება კიდევ სადმე იკრიბებოდეს. საქმე იმაშია, რომ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები უპირატესად ცხოვრობენ აბსოლუტურად ჰერმეტიკულ სივრცეში და ეს, ჩვენი რეალობის გათვალისწინებით, სავსებით ბუნებრივია... რასაკვირველია, ჩვენ ხშირად არაფორმალურ გარემოშიც ვიკრიბებით, მაგრამ ორგანიზაცია ყველა ჩვენგანისთვის შეუცვლელია! მე ვიცი, რომ აქ დადიან გოგონები, რომლებსაც საკუთარ პრობლემებზე ხმამაღლა საუბარიც კი უჭირთ. ჩვენ ძალიან გვიხარია, რომ ასეთი ოაზისი არსებობს ამ უკიდევანო უდაბნოში!” (ლილი, 24 წლის).*

*“ორგანიზაციის საქმიანობას სიამოვნებით შევაფასებდი, მაგრამ ვშიშობ, რომ არაობიექტური ვიქნები, რადგან იგი ჩვეთვის ფასდაუდებელია. აქ მოსული გოგონების უმეტესობა ყოველდღიურად ნამდვილ ომშია ჩაბმული გარესამყაროსთან. მხოლოდ აქ გრძნობენ ისინი თავს არა მხოლოდ დაცულად, არამედ თავდაჯერებულად, მყუდროდ, საიმედოდ. ჩემი ნატვრაა, ამ ორგანიზაციამ*

*ყველა დისკრიმინირებულ ადამიანს გაუწიოს დახმარება. რეგიონებში და თუნდაც თბილისში მცხოვრები უამრავი ქალი ყოველდღიურად ათასგვარ დამცირებასა და შეურაცხყოფას აწყდება იმის გამო, რომ ისინი არღვევენ ღიპიანი ბიძიების სათაყვანებელ გენდერულ ნორმებს და “არასაკმარისად ქალურად” გამოიყურებიან. ვწუხვარ და გული მტკივა ამაზე, მაგრამ ქალების ეს კატეგორია ორგანიზაციაში მოსასვლელად მზად ნამდვილად არაა...” (სოფო, 17 წლის).*

*“ყოველ ჯერზე, როდესაც ორგანიზაციაში მოვდივარ, ვიცი, რომ ვიძენ თანამოაზრეებს, სულიერ წონასწორობას, თავისუფლებას, მოსვენებას... მაგრამ მთავარი მაინც ის ფასდაუდებელი ინფორმაციაა, რომელსაც აქ ვიღებთ. ვფიქრობ, რომ აქ გატარებული შემეცნებითი ხაზი უმნიშვნელოვანესია ჩემთვის და ჩემნაირი ადამიანებისთვის. ამას გარდა, აქ ერთადერთი ადგილია, სადაც “სექსუალურ უმცირესობათა” წარმომადგენლები თავს დაცულად გრძნობენ. ლგბტ ადამიანების უფლებათა დაცვა ჩვენს ქვეყანაში ქარის წისქვილებთან შერკინებას მაგონებს!” (ლენა, 24 წლის).*

ორგანიზაციაში შექმნილი “ოაზისი” მის სტუმრებს მართლაც ყველანაირ კომფორტს უქმნის. მათთვის ძნელი წარმოსადგენია, როგორი იქნებოდა მათი ცხოვრება, რომ არა ეს მულტიფუნქციური სივრცე. ორგანიზაციის პერმანენტული აუდიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი აქ ნაცნობ-მეგობრების დახმარებით მოხვდა და ახლა აქაური ვიზიტები მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ პირობად იქცა. ის პატარ-პატარა პრივატული სივრცეები, სადაც თბილისელი ლესბოსელები იკრიბებიან, ნარატიულ ინტერვიუებში ნახსენებია როგორც “არასტაბილური და არასაკმარისი” საკომუნიკაციო გარემო, მაშინ, როდესაც რესპონდენტთათვის ორგანიზაციასთან კონტაქტი ხშირად სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებს.

თუმცა, თბილისელ ე.წ. “სექსუალური უმცირესობის” წარმომადგენელი ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი, სხვადასხვა მიზეზების გამო, ორგანიზაციაში მისვლას ან ვერ ბედავს, ან კატეგორიულად გაურბის. ხშირად ამის მიზეზი ანონიმურობის დაუცველობის შიშია, თუმცა რაიმე კონკრეტული პრეცედენტის არსებობას დღესდღეობით ვერავინ ასახელებს. როგორც ჩანს, დასახელებული პრობლემა უფრო საბაზია, ვიდრე მიზეზი და ამის საფუძველი ისევ და ისევ ქვეყანაში გამეფებულ ჰომოფობიურ განწყობებში უნდა ვეძიოთ.

*“ცოდნით კი ვიცი, რომ ასეთი ორგანიზაცია არსებობს, მაგრამ იქ ნამდვილად ვერ მივალ... ამდენი სიმამაცე რომ მქონდეს, ჩემი ორიენტაციის გამო ასე არ დავიტანჯებოდი... ასე მგონია, იქ თუ მივალ, მეორე დღეს ჩემი ლესბოსელობის ამბავი მთელ დუნიას ეცოდინება... როგორც ჩანს, იქ მისვლის სურვილზე ძლიერი ჩემში თავდაცვის ინსტინქტია... რა ვქნა – საკუთარ თავს ვერაფერს ვუხერხებ!” (ლილე, 24 წლის).*

თბილისში არსებული ამ ერთადერთი რეალური საჯარო სივრცის იგნორირება იწვევს ალტერნატიული (თუნდაც ვირტუალური) საკომუნიკაციო სივრცეების ძიებას, სადაც საბოლოოდ სწორედ ინტერნეტ ნაცნობობის რესურსებს ენიჭებათ გადამწყვეტი როლი. ინტერნეტ კომუნიკაციებით სარგებლობა თბილისელ ლესბი ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის საკუთარი სექსუალური იდენტობის დეკლარირების ერთადერთი გზაა.

**1.2. სოციალური გარემო**

თბილისელ ლესბი ქალთა ცხოვრების სოციალური რაკურსის უკეთ აღსაქმელად, აუცილებელია ყურადღების გამახვილება იმ ფორმალურ თუ არაფორმალურ სოციალურ ინსტიტუტთა როლზე ინდივიდის ფორმირებაში, როგორებიცაა;

- ოჯახი;
- ეკლესია ან სხვა კონფესიური გაერთიანებები;
- სამსახური, სასწავლებელი;
- მეორადი სოციალური ჯგუფები: მეგობრები, ნათესავები.

დასახელებული ინსტიტუტები აქტიურად მონაწილეობენ ინდივიდის ფორმირებასა და მის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მით უფრო, თუ საქმე ეხება ქართულ საზოგადოებაში ძლიერად ფესვგადგმულ პატრიარქალური შეხედულებების მქონე ინდივიდთა ჯგუფს. მშობლების, ოჯახის, ნათესავ-მეგობრების, ე.წ. “ტრადიციული ღირებულებების” კულტი საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოდ მყარია. ამის გამოა, რომ ინდივიდს ტრადიციულ ქართულ საზოგადოებაში პრივატული გადაწყვეტილებებისთვის მიზეზური სივრცე რჩება.

*“თქვესმეტი წლისა გავთხოვდი, თუმცა მამაკაცების მიმართ განსაკუთრებულ ლტოლვას არ განვიცდიდი. აქ ალბათ ოჯახის ფაქტორმა ითამაშა გადამწყვეტი როლი: მამა და ჩემი უფროსი ძმა იმდენად მიზღუდავდნენ პირად თავისუფლებას, რომ მერჩინა საკუთარი ოჯახი შემექმნა. ამჟამად ქმართან გაყრილი ვარ, ორი შვილი მყავს. ვერ გეტყვით, რომ მამაკაცების მიმართ რაიმე სახის ფობიას ვგრძნობ, მაგრამ ჩემი მეუღლე არასოდეს მაინტერესებდა. ის, რასაც მის მიმართ განვიცდი, ალბათ უფრო ფიზიკური და ფსიქოლოგიური მიუღებლობაა, მაგრამ ალბათ ამან განაპირობა ის, რომ ორივე შვილი სხვადასხვა მამაკაცისგან მყავს და არა მისგან. ვინმეს იქნებ მონსტრი ვეგონო, მაგრამ რეალურად ალბათ ჩემი ცხოვრების წესი შურისძიება მამრობითი სქესის ყველა იმ წარმომადგენლის მიმართ, ვინც ჩემში თავისზე დაბლა მდგომ და არარა არსებას ხედავს. მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ქალი ვარ, ვერავინ დამჩაგრავს! მირჩვენია მჩაგვრელი ვიყო, ვიდრე კაცებს დამონებული უსუსური არსება! ახლა მარტო ვცხოვრობ, ინტერნეტის საშუალებით გაცნობილ ლესბოსელებს ვხვდები, და ძალიან ბედნიერი ვარ. მართალია, ცხოვრებაში მამაკაცებზე შურისძიებამ ბევრი სიამოვნება მომიტანა, მაგრამ ამას ვერ შევადარებ ინტერნეტის მიერ გაწეულ უდიდეს საქმეს – მე ხომ ნამდვილი ლესბოსელივით ცხოვრება ინტერნეტ ნაცნობობამ გადამაწყვეტინა! იგი რომ არა, ვიქნებოდი ერთი კაცებზე გაანჩხლებული კაპასი ქალი და სხვა არაფერი... ახლა კი ბოლომდე მივაღწიე თვითრეალიზაციას!”*  
(ლალი, 36 წლის).

საქართველოში საკმაოდ გავრცელებული პრეცედენტია, როდესაც ქალი თხოვდება მხოლოდ და მხოლოდ იმ მოტივით, რომ თავი დააღწიოს კონტროლს ოჯახის წევრების მხრიდან. მოცემულ შემთხვევაში პიროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად ინდივიდს აშკარად არ რჩება სხვა გამოსავალი, გარდა გათხოვებისა. მისთვის მძიმეა მამაკაცთან ცხოვრება, მიუღებელია ქალის სტერეოტიპული აღქმა მამაკაცის მხრიდან, მაგრამ შედარებით “ღია სივრცეში” მხოლოდ და მხოლოდ გათხოვების შედეგად ხვდება. ამ შემთხვევაშიც კი, როდესაც საქმე გვაქვს საკმაოდ მტკიცე და დაუმორჩილებელი ხასიათის მქონე ქალბატონთან, რესპონდენტის უკომპრომისო ხასიათი გამოიხატება მეუღლის მიმართ დამოკიდებულებაში და არა მამისა და ძმის დაუმორჩილებლობაში. ანუ, მან სოციალური საფასურის საკუთარი “წილი” უკვე გათხოვებით გადაიხადა.



*“ჩემი მშობლები ისეთი უხეში ფორმებით ერევან ჩემს პირად ცხოვრებაში, რომ ხანდახან ლამისაა ნერვებმა მიმტყუნონ... თქვენ წარმოიდგინეთ, დედაჩემი იმასაც კი აკონტროლებს, ვის ვეკონტაქტები ინტერნეტით. სწორედ ამ გზით შეიტყო ჩემი ორიენტაციის შესახებ... ახლა ისეთ საშინელ წნეხში ვყავარ, რომ გაგოების ზღვარზე ვარ... რა ვქნა – სამსახური არ მაქვს და დამოუკიდებლად ცხოვრება არ შემძლია... ერთადერთი გამოსავალი, რასაც რეალურად ვხედავ, ჩემი გათხოვებაა... მინდა ვინმე გვი ორიენტაციის ბიჭს დავუკავშირო ცხოვრება, ის თავისთვის იქნება და მე – ჩემთვის... მაგრამ ესეც ოცნების სფეროდ მესახება – სად უნდა გავიცნო, ვინ უნდა გავიცნო, ჩემზე 24-საათიანი თვალთვალა გამოცხადებული! (მედო, 18 წლის).*

დამოუკიდებლად ცხოვრების შესაძლებლობის არქონა და მშობლების გამუდმებულ კონტროლქვეშ ყოფნა ინდივიდს ფაქტიურად უსპობს საკუთარი სოციალური როლის დამკვიდრების ყველანაირ პერსპექტივას. ქვეყანაში უმუშევრობის რიცხვი საკმაოდ მაღალია. მით უმეტეს გამოუსავალ სიტუაციაში ხვდება ადამიანი, ვისაც არანაირი კვალიფიკაცია არ გააჩნია. ამის გამო, ბევრი ახალგაზრდა საქართველოში ვერ ახერხებს მშობლების მუდმივი მზრუნველობისგან თავის დაღწევას. საბოლოოდ კი ისევე პრივატული სივრცის არარსებობისკენ მივდივართ, როდესაც ინდივიდი, მით უმეტეს ლესბოსელი ქალი, ექცევა გადაულახავ პრობლემათა მარწმუნებში. საზოგადოებრივი სივრცე იმდენად შემავიწროვებელია, რომ აქ უკვე აღარაა საუბარი საკუთარი სექსუალობის რეპრეზენტირებაზე; აქ უკვე საქმე ეხება მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლას ფიზიკური თვითგადარჩენისთვის.

*“ჩემს skype სიაში “რამბლერის” საიტზე გაცნობილი გოგონების მთელი არმია მყავს დამატებული. ჩემთვის ინტერნეტ გაცნობები საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნებისა და რეალიზაციის ერთადერთი გზაა. სწორედ გამიგეთ, საქართველოში არ არის იმის საშუალება, რომ ადამიანმა ხმამაღლა განაცხადოს საკუთარი არატრადიციულობის შესახებ. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეს მხოლოდ ორიენტაციას არ ეხება. საზოგადოებასთან კონფლიქტური სიტუაცია შეიძლება აღმოცენდეს ნებისმიერი საბაბით, რაც, უმრავლესობის აზრით, ლახავს ყველასათვის დადგენილ ნორმებს. საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ფრჩხილის შავი ლაქის ან ლურჯი თმის ფერის გამო შეიძლება კეთროვანად გამოგაცხადონ.” (ლანა, 25 წლის).*

პროტესტი არსებული სიტუაციის მიმართ ხშირად ქაოსურ სახეს იღებს, მით უმეტეს, თუ საკუთარი სექსუალური იდენტობის შეცნობის პროცესში ინდივიდი სრულიად მარტოა. ვირტუალური სივრცე აქ განხილულია როგორც სხვა წესებისა და რეალობის მქონე სხვა სამყარო, სადაც შესაძლებელია გაექცე “რეალურ” რეალობას და გადაეშვა თავისუფალ ვირტუალურ რეალობაში.

*“რომ არა ინტერნეტი, ალბათ ჩემი ცხოვრება საშინელ ჯოჯოხეთად იქცეოდა. მხოლოდ და მხოლოდ აქ შემძლია გამოვხატო ის თავისუფლება, რომელიც რეალურ სამყაროში ასე მაკლია... ანდა ესეც რა თავისუფლებაა... მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, ის მაინც ვიცი უკვე, რომ საკუთარი მისწრაფებების და უფლებების დაცვა შესაძლებელია, თუნდაც თეორიულად...”*

ჩემი სექსუალური ორიენტაციის გარკვევას საკმაოდ დიდი დრო მოვანდომე. ერთია, რომ ბიჭები არასოდეს მაინტერესებდა, მაგრამ მეორეა, როცა საკუთარ თავს რაღაც ანომალიური შეგრძნებების მატარებლად აღვიქვამდი. მხოლოდ და

*მხოლოდ ინტერნეტმა მომცა იმის საშუალება, რომ საბოლოოდ გამერკვია ჩემს გონებასა და სხეულში მიმდინარე უცნაური პროცესების არსი. ეს მოხდა საკმაოდ დიდი რაოდენობის სპეციალიზებული ლიტერატურის გაცნობის შემდეგ. ინტერნეტ გაცნობების სერვისით ფაქტიურად არ ვსარგებლობ, რადგან რეალურად წარმოუდგენელი მეჩვენება ამ ვეება სივრცეში საკუთარი “მეორე ნახევრის” მოძებნა. თუმცა, მომავალში არც ამას გამოვრიცხავ... ჯერჯერობით მხოლოდ ვესაუბრები ლესბოსელ გოგონებს თბილისის სხვადასხვა უბნებიდან. ერთ რამეს დავაკვირდი: პრესტიჟული უბნების მკვიდრნი ბევრად უფრო თამამები და კონტაქტურები არიან (ივინის, შ.გ.). მაგრამ, რაც უფრო გარეუბნისკენ მოდიხარ, უფრო და უფრო იკეტება ურთიერთობის სივრცე... კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ვირტუალური ურთიერთობებისას ლესბოსელ თანამოსაუბრეს არასოდეს “ვაბამ”, ვერც მე “შემაბამს” ვერავინ, მაგრამ მდიდარი და წარმატებული ოჯახების შვილები ბევრად გახსნილები და უკომპლექსოები არიან ურთიერთობებში. დანარჩენი კონტინგენტი შედგება დატანჯული, დამალული და შეშინებული გოგონებისგან, ვინც არც კი იცის რა უნდა და როცა ნეტში ესაუბრები, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ძალით მსურდეს მათი შეცდენა!” (დინა, 19 წლის).*

ინფორმანტი შემთხვევით როდი ამახვილებს ყურადღებას სოციალური სტატუსის მნიშვნელოვნებაზე. “მდიდარი და წარმატებული ოჯახების შვილები ბევრად გახსნილები და უკომპლექსოები არიან ურთიერთობებში. დანარჩენი კონტინგენტი შედგება დატანჯული, დამალული და შეშინებული გოგონებისგან, ვინც არც კი იცის რა უნდა” – რასაკვირველია, მაღალი სოციალური სტატუსი ინდივიდს აძლევს შესაძლებლობას, იყოს უფრო მეტად დამოუკიდებელი, ჰქონდეს მეტი საკომუნიკაციო შესაძლებლობები, მიიღოს უფრო სრულყოფილი განათლება, იმოგზაუროს საზღვარგარეთ, მაქსიმალურად გაიფართოვოს ცხოვრების თვალსაწიერი. ხელმოკლე ოჯახების წარმომადგენლები კი მოკლებულნი არიან ყველა ამ სიკეთეს. მათ ბევრად უფრო ჩაკეტილ და შეუვალ სოციალურ სივრცეში უხდებათ ცხოვრება, სადაც, დასახელებულ მიზეზთა გამო, სამოქმედო სივრცე ბევრად ვიწროა. ინფორმანტი აღნიშნავს, რომ ინტერნეტის მომხმარებელთა სოციალური სტატუსების დადგენა ვირტუალურადაც საკმაოდ ადვილია, რადგან მათი პირადი მოსაზრებები და მოტივაცია აქაც საკმაოდ თვალშისაცემია.

*“მუდმივი საცხოვრებელი ფაქტიურად არ გამაჩნია. ხან ვისთან ვარ შეკედლებული და ხანაც – ვისთან. ფული არ მაქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, თავისუფლება მაქვს! ინტერნეტთან იშვიათად მიწევს ყოფნა, მაგრამ თუ მოვხვდი, ეგრევე ვინმეს “შემაბამს” ვიწყებ. მე მყავს ჩემი საკუთარი წრე, სადაც მიღებული და დაფასებული ვარ ისეთი, როგორც ვარ. სხვებისთვის მიმიფურთხებია! გაივლის ზოგიერთი და ზიზლით გადმომხედავს, როგორც უსახლკაროს და უპატრონოს. აბა მე მკითხონ! რომ იცოდეთ, როგორ მეცოდებიან! მათ ხომ თავისუფლების გემო არ იციან!” (კუსა, 18 წლის).*

მოცემული შემთხვევა შეიძლება უფრო გამონაკლისს მივაკუთვნოთ, ვიდრე წესს. ინდივიდს არ გააჩნია სოციალურად მაღალი სტატუსი, მაგრამ საკუთარი სექსუალობის გაცხადება დისკომფორტს არ უქმნის, რადგან მას გააჩნია სპეციფიკური სოციალიზაცია (“მე მყავს ჩემი საკუთარი წრე, სადაც მიღებული და დაფასებული ვარ ისეთი, როგორც ვარ. სხვებისთვის მიმიფურთხებია!”). თუმცა, როგორც აღინიშნა, მსგავსი პრეცედენტები მათი ერთეული შემთხვევების გამო ვერ ჩაითვლება თბილისელ ლესბოსელთა ცხოვრების გავცრელებულ და მიღებულ პრაქტიკად.

“გაცნობის საიტებს ვსტუმრობ იმისათვის, რომ საკუთარ თავს შევუქმნა თუნდაც მცირე, თუნდაც ეფემერული, მაგრამ მაინც ძალიან საჭირო საურთიერთო სივრცე. ხმამაღლა დეკლარირების კი არა, უბრალოდ გაფიქრებისაც კი მეშინია, რა საშინელება შეიძლება მოყვეს იმის აღიარებას, რომ ორიენტაციით ლესბოსელი ვარ... ყოველთვის ძალიან დიდი წნეხის ქვეშ ვიყავი ოჯახის მხრიდან – ჩემმა ძმამ მისაყვედურა – შენში ქალური თვისება ძალიან ცოტაა და ალბათ ამიტომაც ვერ იზიდავ მამაკაცებსო... ვგრძნობ, რომ ოჯახში ზედმეტი ვარ – ძმას საკუთარი ოჯახი ჰყავს და როცა ჩემი დედ-მამა ცოცხალი აღარ იქნება, მით უარეს სიტუაციაში აღმოვჩნდები, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, ჩემს ცხოვრებას რა ვუყო... ცხოვრებაში ერთადერთხელ მქონია სექსი და ისიც ქალთან. ამის შემდეგ მივხვდი, რომ მამაკაცს ვერასოდეს გავიკარებდი. შეიძლება ითქვას, რომ მამაკაცების მიმართ ბიოლოგიური სიძულვილი გამაჩნია... კარგად მოგეხსენებათ, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ. აქ ყველა: მეზობლით დაწყებული, ნაცნობების ნაცნობებით დამთავრებული, თავს მოვალედ თვლის, შენს პირად სივრცეში შემოიჭრას და რაღაც რჩევა მოგცეს. თქვენ ვერ წარმოდგენთ, რამდენჯერ მიპირებდნენ გათხოვებას... ხან ვინ გამირიგეს და ხან ვინ... თითქოს ჩაწოლილი საქონელი ვყოფილიყავი... ალბათ სხვა ქვეყანაში რომ ვცხოვრობდე, მეყოფოდა გამბედაობა, საკუთარი უფლებებისთვის მებრძოლა, ახლა კი... იცით ახლა რაზე ვოცნებობ? მხოლოდ ერთ რამეზე – რომ ამ ქვეყნიდან გავაღწიო რაც შეიძლება მალე... ვიმუშავებ თავდაუზოგავად, დღისით და ღამით, ოღონდაც მომეცეს იმის შესაძლებლობა, ვიცხოვრო ქვეყანაში, სადაც ვერავინ ჩაერევა ჩემს ცხოვრებაში. ახლა ყველა ერევა და ჭკუას მარიგებს, ვისაც ეს არ ეზარება...” (მარინა, 36 წლის).

ის სოციალური პრივილეგია, რაც სხვისთვის საკმაოდ ადვილი ხელმისაწვდომია, მოცემული რესპონდენტისთვის ოცნებად და ფანტაზიად ქცეულა. თავისდა სავალალოდ, იგი ჯერჯერობით ვერაფერს უპირისპირებს ოჯახის მიერ ნაკარნახევ “სამაგალითო ცხოვრების წესს”, თუმცა მედგრად იგერიებს გათხოვების შემოთავაზებებს. სხვის მიერ დაწესებული სოციალური რეალობის გათავისება მას წარმოუდგენლად ეჩვენება და ამისათვის ბრძოლას აპირებს, რაც ქვეყნის დატოვებასა და ცხოვრების საკუთარი შეხედულებისამებრ მოწყობაში ვლინდება. მანამ კი, სანამ რაიმეს შეცვლის საკუთარ ცხოვრებაში, იძულებულია მოცემულ ვითარებას შეეგუოს. საინტერესოა, რომ თავად რესპონდენტი ერთმანეთს უპირისპირებს ორ სივრცეს – საკუთარ ქვეყანას, სადაც მისი ნება-სურვილები უხეშად გათელილია, და უცხო მხარეს, სადაც, მისივე წარმოდგენით, საზოგადოება აბსოლუტურად სხვაგვარად, პატივისცემით მოეკიდება მის პირად არჩევანს. ემიგრაცია, მიუხედავად მისი მძიმე მხარეებისა (შესანიშნავად ესმის, რომ თავისი მიზნის განსახორციელებლად საჭიროა თავდაუზოგავი შრომა), პიროვნული თავისუფლების მოპოვების ერთადერთ რეალურ გზად ესახება.

შემდეგი რესპონდენტი სრულებით არ განიცდის სოციალიზაციასთან დაკავშირებულ დისკომფორტს, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, ნაკლები პრობლემა დაინახოს ინტერნეტ ურთიერთობებში:

“სკაიპით გოგო ხშირად “შემიბამს”. პრაქტიკული ადამიანი ვარ, დროის ფლანგვა არ მიყვარს. ჩემთვის გაცნობების საიტებს ერთადერთი დანიშნულება აქვს – პარტნიორი “შევაბა” ერთჯერადი სექსუალური თავგადასავლისთვის... დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ქალი თუ ბოლომდე ლესბოსელი არა, ბისექსუალი მაინცაა. ამიტომ, ჩემი ყოველი “ინტერნეტ-თევზაობა” თითქმის ყოველთვის წარმატებულად სრულდება... ჩემი ყველაზე დიდი კოზირია ჩემი გარეგნობა. როდესაც თანამოსაუბრეს საკუთარ ფოტოს ვუგზავნი, მაშინვე

*მთანხმდება შეხვედრაზე. რა თქმა უნდა, ვერბალურადაც ვცდილობ მის მოხიბლვას და სექსში ვპირდები ისეთ სიგიჟეებს, რასაც ვერც ერთ მამაკაცთან ვერ შეიგრძნობენ. ქალზე უკეთ ვინ გაიგებს, რა სიამოვნებს ქალს? ქართველი მაჩო და უფარგისი მამაკაცები საკუთარ ფალოსს მიღმა ვერაფერს ხედავენ. გაგიკვირდებათ და ასე შემთხვევით ინტერნეტით გაცნობილ და ჩემთან პაემანზე უცებ გამოცუნცულელებულ ქალებს შორის ძალიან დიდ პროცენტს სექსი ქალთან პირველად ჰქონია. მეტსაც გეტყვით: მიუხედავად იმისა, რომ ყველას ვაფრთხილებ, ეს შეხვედრა ერთჯერადი იქნება და ამის შემდეგ ერთმანეთთან არანაირი ვალდებულებები არ დაგვაკავშირებს მეთქი, ისინი ხშირად მირეკავენ და კვლავ შეხვედრას მთხოვენ. ერთი-ორჯერ კი მქონია განმეორებითი შეხვედრა, მაგრამ ხანგრძლივი და სასიყვარულო ურთიერთობები ნამდვილად არავისთან მაინტერესებს. საკუთარ თავს კაბიან დონ ჟუანს ვუწოდებ, პრაქტიკულად გამორიცხულია, ერთი და იგივე ქალმა ჩემი ხელმეორედ მიზიდვა მოახერხოს! (იციინის, შ.გ). (ლორა, 26 წლის)*

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დასახელებული რესპონდენტი “ღია” ლესბოსელია, საკუთარ სექსუალობას არ მალავს არც ოჯახში და არც მის გარეთ. როგორც თავად ამბობს, არც გარეგნობას უჩივის და არც სტიგმატიზაციისა და მარგინალიზაციის პრობლემები გააჩნია. თავდაჯერებულია, გარე სამყაროსთან საკმაოდ ინკლუზირებული, და წარმატებული. ინფორმანტის ასეთი “სილალის” ერთადერთი მიზეზად მისი მაღალი სოციალური სტატუსი და მატერიალურად უზრუნველყოფილი მგდომარეობა შეიძლება მივიჩნიოთ (იგი საკმაოდ ცნობილი ბიზნესმენის ერთადერთი შვილია). თუმცა, ასეთი “ბედნიერი” შემთხვევები თბილისურ რეალობაში მრავლად ნამდვილად არ გვხვდება. ხშირად, ქამინგ-აუტზე მხოლოდ ფიქრიც კი შესაძლოა იყოს დიდი სტრესების და საკუთარ თავში დაეჭვების მიზეზი:

*“მშურს კესოსი , ვინც საჯაროდ, უპრობლემოდ საუბრობს საკუთარ სექსუალობაზე. ძალიან მამაცი ადამიანია! ხშირად წარმომიდგენია საკუთარი თავი მის მდგომარეობაში... როგორ გითხრათ – ამბივალენტური გრძნობაა – ხან მემამაყება და ხანაც მეშინია... ვფიქრობ, რომ საქართველოში საზოგადოება ამისთვის ჯერ კიდევ დიდხანს არ იქნება მზად... ჩვენებურ ჯგულებს ძალიან კი მოსწონთ ინტერნეტით ორი ქალის ხვევნა-კოცნის ხილვა, მაგრამ როგორც კი საქმე რეალურ და არა ვირტუალურ ურთიერთობებს ეხება, ისინი ყველაზე სასტიკი და მრისხანე სულიერი მოძღვრის სახეებს იღებენ და იწყებენ ქადაგების კითხვას ზნეობრივ დაცემულობასა და სოციალურ ცოდვაზე. ბუნებით საკმაოდ მამაცი ადამიანი ვარ, მაგრამ ვგრძნობ, რომ საკუთარი სექსუალური იდენტობის გასაჯაროება ჩემთვის სოციალური ხარაკირის ტოლფასი იქნება... სულ მარტო დავრჩები, სულ მარტო! არადა, მეც, ისევე, როგორც ყველა სხვა ადამიანს, მაქვს სხვადასხვა სპეციფიკისა და ხასიათის საზოგადოებრივი კონტაქტები, ანუ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ლესბოსელი არ ვარ... მთელი უბედურება იმაშია, რომ საზოგადოება მიტოვებს მხოლოდ ორ არჩევანს – ან კესოსავით საკუთარი ქამინგ-აუტის ტყვე ვიყო და ერთადერთი იარაღი – “სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი” მქონდეს მოკერებული, ანდა არ გამაჩნდეს ინდივიდუალიზმი და პირადი ცხოვრება შევწირო სხვა ადამიანების პურიტანულ წარმოდგენებს ზნეობასა და მორალზე!” (მაკა, 19 წლის).*

ინფორმანტი საუბრობს მის წინაშე მდგარ გადაუჭრელ დილემაზე – იგი დარწმუნებულია, რომ საკუთარი სექსუალობის ხმამაღლა გაცხადების შემთხვევაში გარემომცველი

ადამიანები მას გარიყავენ. მეორე მხრივ, იგი არანაკლებ იტანჯება იმით, რომ არ შეუძლია, საჯაროდ გამოჩნდეს ისეთი, როგორც სინამდვილეშია. თუ ინფორმანტის სოციალურ სტატუსით ვიმსჯელებთ, გასაგები გახდება მისი ღელვის მიზეზი – წინა რესპონდენტისგან განსხვავებით, იგი ვერ დაიკვებნის ვერც სტაბილური სოციალური მდგომარეობით და არც მატერიალურადაა დამოუკიდებელი. ესეც რომ არა, მისი შიში მარტო დარჩენის წინაშე საფუძველს მოკლებული როდია; ეს არის პრობლემა, რომელიც დღესდღეობით ყველაზე მწვავედ დგას ვირტუალურ სამყაროში გაცნობებისა და ურთიერთობების მამიებელ თბილისელ ლესბი ქალთა წინაშე.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ტიპოლოგიის მიხედვით, შეგვიძლია გამოვყოთ თბილისელ ლესბი ქალთა ორი ძირითადი კატეგორია: სოციალურად დაცულნი (პროფესიით, კონკრეტული გარემოთი, სპეციფიკური სოციალიზაციით) და სოციალურად დაუცველნი. სოციალურად დაცული კატეგორია მოიცავს იმ ინდივიდების ერთობლიობას, ვინც საზოგადოებაში მეტ-ნაკლებად თვითდამკვიდრებულია და მათ სოციალიზაციაში საზოგადოების აზრი (თუნდაც ნეგატიური) დიდად გადამწყვეტ როლს არ ასრულებს. მათ საკუთარი სექსუალობის დეკლარირებისთვის (სურვილის შემთხვევაში) შედარებით თავისუფალი სივრცე გააჩნიათ და თავს ბევრად შეუზღუდავად გრძნობენ. სოციალურად დაუცველ კატეგორიას ამ შემთხვევაში განეკუთვნება ის ჯგუფი, რომლის სოციალიზაციის ხარისხი დამოკიდებულია იმ ზოგად მოთხოვნებთან და შეხედულებებთან შესაბამისობაზე, რომლებიც საზოგადოებას გააჩნია ცალკეული სოციუმის მიმართ. რასაკვირველია, დასახელებული კატეგორია ბევრად მოწყვლადი და დაუცველია, ამიტომ იგი თვითიდენტიფიკაციასთან დაკავშირებულ გაცილებით მეტ პრობლემას აწყდება. ამ პრობლემათა შორის პირველ ადგილზე დგას მატერიალური დამოკიდებულების საკითხი, როდესაც ინდივიდს საკუთარი სექსუალური ორიენტაციის იძულებითი შენიღბვა უხდება. იგი სერიოზულ ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდის ოჯახის, საზოგადოების, ახლობელ-ნათესავთა მხრიდან და ხშირ შემთხვევაში იძულებულია უარი თქვას საკუთარი სექსუალობის გასაჯაროებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ემუქრება არა მხოლოდ უმუშევრობა და უსახსრობა, არამედ სრული იზოლაცია ოჯახისა და ნათესავ-მეგობრების მხრიდან. ხშირად, გაუცნობიერებლად, ინდივიდი საკუთარ სექსუალურ იდენტობას მალავს არა დასახელებული მიზეზების გამო, არამედ ცდილობს, საკუთარი ქცევის მოტივაცია სხვაგვარად ააგოს (მაგალითად, რელიგიურ-ეთიკური რიტორიკით გაამართლოს).

## **2.2. სარწმუნოებრივი ტაბუები და ლესბოსური ორიენტაცია ვირტუალურ სივრცესა და მის მიღმა**

დღესდღეობით ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ინსტიტუტი, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, ჰომოსექსუალობას განიხილავს, როგორც მომაკვდინებელი ცოდვას, გარყვნილებასა და ღვთის სასჯელს. რასაკვირველია, ეკლესიის მხრიდან მსგავსი პოზიცია სრულებით ბუნებრივია, რომ არა ერთი საგულისხმო ფაქტი: თბილისში საკმაოდ გააქტიურდა მართლმადიდებლობის სახელით მოქმედი რამდენიმე ექსტრემისტული ორგანიზაცია, რომლებიც უხეშად ერევან საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებში. ისინი, ეკლესიისა და სარწმუნოების სახელით, ღიად ილაშქრებენ ლიბერალური ფასეულობების წინააღმდეგ, არც თუ იშვიათად უგულვებელყოფენ ადამიანთა უფლებებს. მათი “ლაშქრობების” მთავარი ადრესატები ხშირ შემთხვევაში სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები არიან. საპატრიარქო დასახელებული ორგანიზაციების ქმედებებს ოფიციალურად არ ემიჯნება.

ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სეკულარიზაციის არარსებობა კიდევ უფრო აღრმავებს საზოგადოებაში ჰომოფობიური და ქსენოფობიური განწყობების გაძლიერებას.

თავად ლგბტ ჯგუფის ადამიანების დევნა ყველაზე “არგუმენტირებულ” საფუძველზე სწორედ რელიგიურ ნიადაგზე წარმოებს.

რელიგიური გრძნობებისა და საკუთარი სექსუალური იდენტობის დაპირისპირების პრეცედენტები თბილისელ ლგბტ ადამიანებს შორის საკმაოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს. თბილისელ ლესბოსელ ქალთა ნაწილი საკუთარი სექსუალური იდენტობის დათრგუნვისა და ჩაკვლის სურვილს იმით ხსნის, რომ “ისინი ჯერ მართლმადიდებლები არიან და მხოლოდ ამის შემდეგ – ადამიანები”.

*“ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი ლტოლვა ჩემივე სქესის ადამიანების მიმართ ციდან მოვლენილი ღვთის სასჯელი ან უმკაცრესი გამოცდაა... ამ ინტერვიუზეც მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ დაგთანხმდით, რომ მინდა ეს გითხრათ და გაგაგებინოთ. სულ მალე მონასტერში წავალ, ჩემთვის ახალი, სუფთა, უცოდველი ცხოვრება დაიწყება, და საბოლოოდ გავთავისუფლდები ამ საშინელებებისგან... მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება! მთელს ჩემს ცხოვრებას უფალს მივუძღვნი და ამით ბედნიერი ვიქნები!” (ანა, 19 წლის).*

ინტერნეტში, ლესბი გაცნობის განყოფილებებში, ანას მსგავს უამრავ იუზერს წააწყდებით. რესპონდენტები ბევრს საუბრობენ თავიანთ მრწამსზე, ცხოვრების წესზე, დღევანდელ საქართველოში პატრიარქალური ტრადიციების უდავო პრიორიტეტულობის აუცილებლობაზე. ნიშანდობლივია, რომ მსგავსი პოზიციის ქალები ერთმანეთისგან არ განასხვავებენ ეკლესიისადმი მოწიწებასა და მამაკაცის ავტორიტეტისადმი უსიტყვო მორჩილებას. ინფორმანტებს ნორმად მიაჩნიათ მამაკაცის მხრიდან ქალის მიმართ განხორციელებული ყველაზე ძალადობრივი ქმედებებიც კი. მამაკაცისადმი უსიტყვო მორჩილებისა და საზოგადოებაში მიღებული ყველა სტერეოტიპის გამართლება ხშირად ხდება რელიგიური მოტივაციის შედეგად, როდესაც ინდივიდი საკუთარ ცხოვრებაში ყველაზე წინ სარწმუნოებრივი დოგმების უსიტყვოდ მიმღებლობას აყენებს. მაგრამ, მეორე მხრივ, ინფორმანტი ლესბი გაცნობის საიტების აქტიური სტუმარია. დამაჯერებლობას მოკლებულია მისი მტკიცება, რომ აქ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ შემოდის, რომ “გზას აცდენილი სულები მოაქციოს ჭემმარიტ გზაზე”.

*“საკმაოდ დიდი ხანია, რაც ეკლესიურად ვცხოვრობ. მანამ დიდი ცოდვილი ვიყავი – ჩემივე სქესის წარმომადგენელთა მიმართ სოდომურ მიზიდულობას ვგრძნობდი. მონასტერშიც მიცხოვრია ერთხანს. ამან სიმშვიდე და თავდაჯერებულობა მომიტანა. ძალიან ძნელი იყო საკუთარ თავთან ბრძოლა. თავში უამრავი ცოდვილი აზრი მიტრიალებდა და მამაჩემის სახლიდან გაქცევისკენ მიბიძგებდა. მინდოდა, სადღაც შორს გადავხვეწილიყავი ჩემს საყვარელი ადამიანთან ერთად (რა თქმა უნდა ქალთან), და ყველაფერი დამევიწყებინა. მაგრამ ეკლესიამ დამიცვა უგუნურების ჩადენისგან. ოდითგანვე ასე ყოფილა, რომ ქალი კაცის მორჩილად და დამხმარედ იყო გაჩენილი. მამის წინააღმდეგ ამბოხი და წუთიერი მრუშობისთვის თავის გაწირვა ყველაზე დიდი სისულელე იყო ჩემი მხრიდან, რისი გაკეთებაც კი შემეძლო.”*

*ახლა ინტერნეტგაცნობების საიტებზე ჩემი ყოფნის მიზანია, აქაურ ქალებს და გოგონებს გავუზიარო ჩემი გამოცდილება და ამით საზარელი ცოდვის ჩადენისგან ვიხსნა. მთავარია იყოს სურვილი, თორემ უფალი მოწყალეა და ყველას შეუნდობს!” (ნანი, 28 წლის).*

მამის, მამაკაცის ავტორიტეტთან დაპირისპირება ამ შემთხვევაში სრულებითაც არ აღიქმება პრივატული სივრცის შეზღუდვის გაპროტესტებასთან. ინდივიდმა, მისივე თქმით,

წარმატებით გადალახა “სოდომური ცოდვის ცდუნება” და ახლა იმდენად სრულ ჰარმონიაშია საკუთარ თავთან, რომ საკუთარ გამოცდილებას სხვა “გზააზნეულ” ადამიანებსაც უზიარებს. როგორც უკვე ითქვა, მსგავს განწყობებს ლესბი გაცნობების ინტერნეტ რესურსებზე ხშირად ვაწყდებით. ერთი მხრივ გაცნობის საიტების აქტიური ვიზიტი, მეორე მხრივ კი კატეგორიული დისტანცირება ვირტუალურ სივრცეში გაცნობილი ადამიანებისგან თვითექსკლუზიის ნათელი მაგალითია. ამ შემთხვევაში, ინდივიდი საკუთარ თავს მიჯნავს იმ “სხვებისგან”, ვისთან ერთობის მოთხოვნილებაც შინაგანად გააჩნია. მაგრამ, ყველა რესპონდენტი როდი გამოირჩევა ნანის თავდაჯერებულობითა და შეუპოვრობით.

*“დიახ, ინტერნეტს ვიყენებ და ლესბი გაცნობების საიტებზეც შევდივარ... მაგრამ, დამიჯერეთ, რეალში არასოდეს შევხვდები არავის და არც არასოდეს არ მექნება სექსი ქალთან! ტრადიციულ ოჯახში ვარ აღზრდილი და ვიცი, ეს ამბავი რომელიმე ჩემმა ახლობელმა რომ გაიგოს, სამუდამოდ შევრცხვები! მონასტერში ვიყავი 2 წელი. ფაქტობრივად, სკოლაშიც არ მივლია ნორმალურად. ყველანაირად ვებრძვი ამ საშინელ ცოდვას, მაგრამ ხანდახან ინტერნეტით ჩემნაირი ცოდვილი გოგონების გაცნობის დაუოკებელი სურვილი მეზადება... არ ვიცი, სადამდე გაძლებს ჩემი ნებისყოფა... მაგრამ, მონასტერში ცხოვრებამ ერთი რამ დამანახა: შენს თავს ვერსად გაექცევი... თქვენ წარმოიდგინეთ, მონაზვნების მიმართაც კი განვიცდიდი მიზიდულობას... ეს რა უბედურება მჭირს! საშინლად დაბნეული და არეული ვარ... მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით ვიცი – თუ ოდესმე ქალთან სექსი მექნება, ჩავთვლი, რომ საკუთარ თავთან დავმარცხდი... ალბათ, დარდისგან მოვკვდები!” (ნინო, 18 წლის).*

მოცემული რესპონდენტი გაცილებით ნაკლებად მტკიცე და თავდაჯერებულია. მისთვის გადაულახავ დილემად ქცეულა დაპირისპირება საკუთარ გრძნობებსა და რელიგიურ წარმოდგენებთან. მისი თქმით, მონასტერშიც კი ვერ შეძლო, ბოლომდე თავი დაეღწია “საშინელი ცოდვისთვის”, თუმცა არც მისი მორჩილი გახდა და დღემდე მედგრად ებრძვის მას. ამ შემთხვევაში, საკუთარი სექსუალური იდენტობის გამომჟღავნება, ქალთან სექსის ქონა, განხილულია, როგორც “საკუთარ თავთან დამარცხება” და “სირცხვილი”. თუმცა, ყველაფერ ამასთან ერთად, რესპონდენტის საუბარში იგრძნობა დაუოკებელი შიში საზოგადოებაში სოციალური ექსკლუზიის წინაშე, და რელიგიური გრძნობები ამ შემთხვევაში მისთვის უფრო თავდაცვის მექანიზმია, რომელიც, მისი აზრით, მას ბევრი უსიამოვნებისგან იხსნის. მას, გაუცნობიერებლად, რეალურ სივრცეში ექსკლუზიას ვირტუალურ სივრცეში ექსკლუზიას ურჩევნია.

*“სკაიპში” იშვიათად თუ ვინმე გამიცნია. აქ ძალიან გართულებულია პიროვნების სექსუალური ორიენტაციის დადგენა. აქ ყველაზე მეტად ქალის ნიკს ამოფარებული მამაკაცები აქტიურობენ – გზავნიან ინტერნეტიდან ამოღებულ ფოტოებს და თავადაც მოითხოვენ, რომ საკუთარი ფოტო აჩვენო. რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში ჩამომიყალიბდა გამოცდილება და ახლა ასეთ ტიპებს სათოფეზე არ ვიკარებ. მე არ მჯერა იმის, რომ ინტერნეტით შესაძლებელია იმ ადამიანის გაცნობა, რომელიც დროთა განმავლობაში შეიძლება შემიყვარდეს. ჩემს სკაიპ-კონტაქტებს ჩემთვის არანაირი კონკრეტული და სასიცოცხლო დანიშნულება არ გააჩნიათ: უბრალოდ, თავისუფალ დროს ვცდილობ ხოლმე რომ გავესაუბრო “ჩემნაირ” ადამიანებს... შეხვედრით არც არავის შევხვდები. ვფიქრობ, რომ ყველაფერი ეს წყლის ნაყვია. გულის სიდრმეში დარწმუნებული ვარ, რომ თუ ოდესმე ქალთან მექნება ურთიერთობა, საშინელ ცოდვას ჩავიდენ. ამიტომ, არც*

*ვცდილობ ღრმად შეტოვვას... დიდი სურვილი მაქვს, ჩემი ინტერესი ქალთა სექსის მიმართ ოდესმე სულ გაქრეს, თუმცა ჯერჯერობით ამას ვერანაირად ვერ ვახერხებ... მაგრამ, ვინ იცის, დამოუკიდებლად ცხოვრების საშუალება რომ მქონოდა, იქნებ სხვაგვარად მეფიქრა?" (ნონა, 24 წლის).*

რესპონდენტის საუბრიდან ირკვევა, რომ ერთი მხრივ, სარგებლობს ინტერნეტითა და ლესბი გაცნობის საიტებით (არა მხოლოდ სარგებლობს, არამედ შესანიშნავად ერკვევა მათ სპეციფიკაში), ხოლო მეორე მხრივ, ებრძვის საკუთარ თავს და ფიქრობს, რომ “ქალთან ურთიერთობით საშინელ ცოდვას ჩაიდენს”. საუბარში ამბობს, რომ ჯერ არ ჰქონია არც ჰეტეროსექსუალური და არც ლესბოსური სექსის პრაქტიკა, მაგრამ მის ყველაზე თამამ ოცნებებში მხოლოდ ქალები ჩნდებიან... ინდივიდის სულიერ დისკომფორტს კიდევ უფრო აძლიერებს სარწმუნოებრივი წარმოდგენები, რომელთა მიხედვითაც ცოდვილი აზრები აუცილებლად უნდა მოაშთოს. მაგრამ, მისი ბოლო ფრაზა - ვინ იცის, დამოუკიდებლად ცხოვრების საშუალება რომ მქონოდა, იქნებ სხვაგვარად მეფიქრაო, - კვლავ ინდივიდის სოციალურ დამოკიდებულებაზე მეტყველებს და ეჭვქვეშ აყენებს ინფორმანტის მიერ აქამდე ნათქვამი ყველა მოსაზრების დამაჯერებლობას.

მაგრამ, სოციალური ფაქტორის ზემოქმედება ინდივიდის სარწმუნოებრივ წარმოდგენებზე ყოველთვის როდია მნიშვნელოვანი.

*“საკმაოდ მაღალი თანამდებობა მიკავია ერთ-ერთ წარმატებულ ქართულ ბანკში. ფინანსურად დამოუკიდებელი და თავისუფალი ქალი ვარ. ერთის კი არა, ორი და სამი ოჯახის შენახვა თავისუფლად შემიძლია. მაგრამ როდესაც საქმე ეხება ჩემს სექსუალურ ორიენტაციას, საშინლად ჩაკეტილი და უმწეო ვხდები... ჩემი პრობლემა ისაა, რომ ვერაფრით დავაღწიე თავი სარწმუნოებრივ აკრძალვებს... როდესაც უცხოეთში ვარ (და ეს საკმაოდ ხშირად ხდება), თითქოს იქ მეძლევა შესაძლებლობა, ჩემს რელიგიურობას შორიდან და კრიტიკულად შევხედო, მაგრამ აქ ჩამოვდივარ და კიდევ უფრო მიმყარდება ძვალ-რბილში გამჯდარი პატრიარქალური დოგმები... ვაღიარებ, რომ ლესბოსელი ვარ, მაგრამ საკუთარ თავს ვერაფერს ვუხერხებ... ერთი დანამდვილებით ვიცი: მამაკაცთან ბედნიერი ვერასოდეს ვიქნები. თანამშრომელ ქალზე უგონოდ ვარ შეყვარებული. ვერანაირად ვერ მოვახერხებ ამ გრძნობის ჩაკვლა. ინტერნეტით ვესაუბრები ხოლმე როგორც მამაკაცი. ისე დამიმეგობრდა, თავის ინტიმურ საიდუმლოებებსაც კი მანდობს. რომ იცოდეს, ვინ ვარ, ალბათ, სამუდამოდ შემიზიზღებდა... და არც ვამტყუნებ – ვის რად უნდა გარყვნილ და ზნედაცემულ ქალთან ურთიერთობა?!” (ნონა, 32 წლის)*

როგორც რესპონდენტის საუბრიდან ჩანს, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ინდივიდის ცნობიერებაში მყარად ფესვგადგმულ წარმოდგენებთან, რომელთა მეშვეობითაც იგი სამყაროს აღიქვამს ერთხელ და სამუდამოდ დაწერილ კანონთა ერთიანობად, სადაც კატეგორიულად დაუშვებელია საკუთარი ინდივიდუალური გრძნობების ღიად გამოხატვა. ინდივიდის თვითშეფასებაც (“გარყვნილი”, “ზნედაცემული”), აგებულია უპირატესად არა სოციალური წარმატებულობის კუთხით (ამ მხრივ მისი საქმე შესანიშნავად მიდის), არამედ უპირატესად სარწმუნოებრივი შეფასების თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში ინტერნეტი მისთვის საყვარელ ადამიანთან გულღია ურთიერთობის ერთადერთი გზაა, მაგრამ ეს გზაც მხოლოდ ნაწილობრივია გულღია, რადგან მას საკუთარი ვინაობის გამჟღავნება არ შეუძლია.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, როდესაც თავად თბილისელი ლესბოსელების გარკვეული ნაწილი უპრობლემოდ ეგუება (ხშირად ემხრობა კიდევ) საზოგადოებაში



გავრცელებულ პატრიარქალურ, მასკულინურ, რელიგიურ სტერეოტიპებს, რესპონდენტები ხშირად საუბრობენ მოცემულ საზოგადოებაში ქამინგ-აუტის აბსურდულობაზე.

*“ინტერნეტ ურთიერთობების დროსაც კი არასოდეს მავიწყდება ყველაზე მთავარი პირობის – ანონიმურობის დაცვა. ნამდვილად არ ვაპირებ, ამ საზოგადოებაში საკუთარი თავი აბუჩად ასაგდებად გავწირო. კი, აქ ყველა ყალბი და გამოგონილი სტერეოტიპებით ცხოვრობს: არიან არარსებული ქალწულები, არარსებული ერთგული ცოლები, არარსებული “პატიოსანი ოჯახისშვილები”. ყველა ეკლესიაში დადის, ყველა მარხვას იცავს, ყველა თავს მოვალედ მიიჩნევს, რომ სხვისი ზნეობა და ცხოვრების წესი რელიგიური კუთხით გააკრიტიკოს. დამძალა ამ ფსევდორელიგიურმა გარემომ! დიახავ, ლესბოსელი ვარ და ქალები მიზიდავს, მაგრამ მე ჩემი “სოდომური ცოდვით” ბევრად სუფთად გამივიყურები ამ ბინძურ ტიკინებთან შედარებით! ამათ ჰგონიათ, ვინმეზე უკეთესები არიან? ჰგონიათ, სამოთხეში მოხვდებიან? მით უფრო მერევა ბრაზი, როდესაც იძულებულს მხდებიან, რომ მთელი ცხოვრება ამ ამაზრზენი ტიკინების მიერ დადგენილი წესებით უნდა ვიცხოვრო!” (მაია, 37 წლის).*

აღშფოთება და უძლურების შეგრძნება რესპონდენტებს ხშირ შემთხვევაში საკუთარ თავსი ჩაკეტილობისა და სრული ფრუსტრაციისკენ უბიძგებს. საზოგადოება შედგება ფარისეველი “ბინძური ტიკინებისგან”, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შვების პოვნა შეუძლებელია მსგავსი ორიენტაციის ადამიანებთან. უნდობლობისა და ეჭვის გრძნობა ინფორმანტს არ ტოვებს არც ვირტუალურ სივრცეში, სადაც ერთმნიშვნელოვნად ანონიმურია და ამით ცდილობს, თავი დაიცვას კვლავ საზოგადოების მხრიდან “აბუჩად აგდებისგან”. საზოგადოების მანკიერებებს კარგად ხედავს, მაგრამ ძალა არ ყოფნის, ღიად გაილაშქროს მათ წინააღმდეგ, რადგან ისევ და ისევ ექსკლუზიას გაურბის და ურჩევნია ყველასათვის ანონიმური და შეუმჩნეველი დარჩეს.

*“რა მინდა ცხოვრებაში? მართალი ვითხრათ, არც კი ვიცი! მინდა კი, რომ ადამიანებმა ჩემი ორიენტაციის შესახებ შეიტყონ? ვგონებ, რომ არა! და აქ საზოგადოება არაფერ შუაშია! საქმე მხოლოდ ჩემს პიროვნულ შეხედულებებშია – ცხოვრებაში ამდენი დილემის წინაშე მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სექსუალობის შეცნობით გამოწვეული დავიდარაბის გამო აღმოვჩნდი... რა საჭიროა, ხმამაღლა ვიყვირო, რომ ქალთან დაწოლა მსიამოვნებს? ვფიქრობ, რომ ეს შესტი თავხედობა და უპატივცემულობაა არა მხოლოდ გარეშე ადამიანების, არამედ საკუთარი თავისაც! სულაც არ ვგრძნობ თავს მსხვერპლად, რადგან პრობლემა ჩემშია. ეს საკითხი იმდენად ინტიმური და პირადულია, რომ ამის შესახებ საუკეთესო მეგობრებსაც კი არ ვესაუბრები... ყველას უკვირს, აქამდე რატომ არ გავთხოვდი, მე კი ჯიუტად ვიმეორებ, რომ ჯერ არ შევხვედრივარ ჩემი ცხოვრების “პრინცს”... ჩემი ორიენტაციის შესახებ მხოლოდ ინტერნეტ გაცნობების ვებ-გვერდებზე ვსაუბრობ. იქ კი დღემდე სერიოზულს და საინტერესოს არავის შევხვედრივარ, მხოლოდ საკუთარი სექსუალობის აფიშირების ჟინით შეპყრობილი ისტერიული თინეიჯერები მხვდებიან...” (ნატო, 36 წლის).*

მოცემულ შემთხვევაში ინდივიდი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არ იტანჯება გარემომცველ სამყაროსთან კონფლიქტით, თუმცა უნდობლობითაა გამსჭვალული უკვე იმ ინტერნეტ აუდიტორიის მიმართ, რომელსაც წესით, “თავისიანად” უნდა მიიჩნევდეს. მაგრამ, მის სიტყვებში გაჟღერებული აშკარა აგრესია “საკუთარი სექსუალობის აფიშირების ჟინით შეპყრობილი ისტერიული თინეიჯერების” მიმართ გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს ინტერნალიზირებულ ჰომოფობიასთან. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტის გარდა

რესპონდენტს არ გააჩნია სხვა ალტერნატიული სივრცე საკუთარი სექსუალური იდენტობის გამოსახატავად, იგი ამ სივრცესაც ემიჯნება და ამით თითქოს თავის შემოსაზღვრას ლამობს მისი ორიენტაციის ხალხისგან.

როგორც რესპონდენტების პასუხებიდან ჩანს, მათთვის ხშირ შემთხვევაში ინტერნეტ ნაცნობობას არაპრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან საქმე თითქმის არ მიდის გაცნობის სერვისების უმთავრეს ფუნქციამდე – რეალურ კონტაქტამდე. სინამდვილეში, ვირტუალური სივრცე მათ პრობლემებს კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის. ამ კატეგორიის ინფორმანტათთვის ყველაზე ნიშანდობლივი ქცევაა რელიგიური რიტორიკა, პათეტიკური და აჟიტირებული განწყობა, განსხვავებული მენტალობის ადამიანების მიმართ ღიად აგრესიული დამოკიდებულება, ფრუსტრაცია, ინტერნალიზირებული ჰომოფობია. სხვადასხვა მიზეზების მოშველიება საკუთარი ქცევის გასამართლებლად მათ ხშირად მოტივაციის ნამდვილი მიზეზების დაფარვაში ეხმარება. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გამო აქტორთა დასახელებული კატეგორია კვლევის პროცესში ყველაზე დიდ სირთულეებს ქმნიდა; ინფორმანტები ხშირად გამოთქვამდნენ ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებებს, მათთან პირისპირ ინტერვიუების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და გადამღლეი იყო, რადგან საკმაოდ უჭირდათ რეალურ სივრცეში გახსნა და საკუთარ პრობლემებზე საუბარი.

## **2. ვირტუალური სივრცე და მისი ბავშვნა თბილისის ლესბი ქალთა რეალურ საგოგალოებაში ინკლუზია-ექსკლუზიამა**

### **2.1. ვირტუალური ნაცნობობის მოტივაცია. ინტერნეტ ურთიერთობისას გამოყენებული ვირტუალური სახეები (ავატარები, “ნიკები”)**

დღესდღეობით ქართული ინტერნეტ სივრცე საკმაოდ მრავალფეროვნად გამოიყურება. ინტერნეტ სერვისების პოპულარობა უკვე გასცდა უპირატესად მაღალი სოციალური სტატუსის მომხმარებელთა კონტინგენტს და ახლა უკვე თითქმის ყველა სოციალურ ფენას მოიცავს. ქართულ ნეტში უკვე გაჩნდა საქართველოში აგრერიგად პოპულარული რუსული სოციალური ქსელების ალტერნატიული ვებ-გვერდები, ასევე, სხვადასხვა სახის ინტერნეტ გაცნობის საიტები.

გამონაკლისი არც ე.წ. “სექსუალურ უმცირესობათათვის” განკუთვნილი ვებრესურსებია. ქართულ ინტერნეტში საკმაო პოპულარობით სარგებლობს ვებ-გვერდები [www.gay.ge](http://www.gay.ge) და [www.lesbi.org.ge](http://www.lesbi.org.ge) საიტების გარდა, არსებობს სპეციალიზებული ბლოგები და ფორუმები, სადაც უშუალოდ ქართული აუდიტორია ეკონტაქტება ერთმანეთს. თუმცა, როგორც რესპონდენტებთან საუბრიდან გაირკვა, გაცნობისა და ურთიერთობის მიზნით შექმნილი ქართული ვებრესურსები ჯერჯერობით კონკურენციას ვერ უწევენ ანალოგიური დანიშნულების რუსულ ვირტუალურ სივრცეს.

როგორც წესი, ინტერნეტ გაცნობების დინამიკა თითქმის ყველა შემთხვევაში ერთნაირია: თავდაპირველად, ინდივიდი რეგისტრირდება რუსულ საიტებზე, ძირითადად [www.rambler.ru](http://www.rambler.ru)-სა და [www.mail.ru](http://www.mail.ru)-ს გაცნობების განყოფილებაში; მესენჯერ ურთიერთობა კი იწყება მხოლოდ სასურველი პროფილის აღმოჩენის შემთხვევაში, როდესაც გაცნობის მსურველთა შორის ორმხრივად ჩნდება უფრო ახლო კომუნიკაციის დამყარების სურვილი.

ინდივიდის პროფილში მითითებულია მისი სექსუალური ორიენტაცია და მოცემულ ვებ-გვერდზე მოხვედრის მიზანი. მაგალითად: “მე ვარ გოგონა, და ვეძებ გოგონას/გოგონას და

ბიჭს სექსის/ურთიერთობების, ოჯახის შექმნის მიზნით”. მიუხედავად იმისა, რომ პროფილის შექმნისას აუცილებელია საკუთარი ფოტოს ატვირთვა, ამ ფუნქციის გამოყენება და ნამდვილი ფოტოს დადება ზოგადად, მით უფრო გეი, ლესბი, ბი და ტრანს აუდიტორიისათვის საკმაოდ ცუდ ტონად ითვლება. ამის მიზეზი ისევე და ისევე საკუთარი სექსუალობის დახურულობის აუცილებლობაშია.

*“ალაღბედზე საკუთარი ფოტოს დადება სრულიად უცხო სივრცეში, მგონი, ნამდვილად არაა საუკეთესო იდეა! რა ვიცი, იქნებ შემთხვევით მეზობელი ანდა სულაც ოჯახის წევრი წამაწყდეს! არა! ფოტოს დადება ჩვენნაირი ადამიანებისთვის სრული სიგიჟე იქნებოდა! ფოტოს მხოლოდ იმ შემთხვევაში წარვუდგენ თანამოსაუბრეს, თუ ურთიერთობის საკმაო “სტაჟი” გვექნება!” (ნანიკო, 23 წლის).*

ვირტუალური ნაცნობობის გაბმის მოტივაცია შესაძლოა, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული იყოს, და ეს ფაქტი ლესბოსელ კატეგორიას სხვა დანარჩენი ინტერნეტ აუდიტორიისგან ბევრად არ განასხვავებს. გაცნობის საიტებზე მითითებულია ინდივიდის დასახელებულ ვებ-გვერდზე მოხვედრის მიზნისა და სურვილების შესახებ. ზოგი აქ სიყვარულსა და რომანტიკულ ურთიერთობებს ეძებს, ზოგი ერთდღიან თავგადასავალს, ზოგს კი მხოლოდ საუბარი სურს და პირად შეხვედრაზე კატეგორიულ უარს ამბობს.

*“მე ტრადიციულ ოჯახში, ტრადიციულ ფასეულობებზე აღვიზარდე... ჩემთვის საკუთარი ლესბოსელობის გათავისება იმდენად რთული და მტკივნეული მომენტი იყო, რომ ამ პროცესს ლამის მთელი წლები შევალე... ახლა, როდესაც როგორც იქნა ამაში დავრწმუნდი, არ მეგონა, თუ რამე აღმაშფოთებდა... მთელი არსებით მიყვარდა ერთი თანამშრომელი გოგო. მეგონა, მასაც ვუყვარდი, მაგრამ თურმე მწარედ ვცდებოდი - როგორც კი “უკეთესი პარტია” ნახა, ეგრევე მას გაეკიდა... ახლა ისლა დამრჩენია, მთელი დღეები კომპიუტერთან ვიჯდე და ჩემი ორიენტაციის ადამიანებს უმნიშვნელო თემებზე ვესაუბრო... არა, შეხვედრას არავისთან ვაპირებ! ინტერნეტს უმიზნო ლაყაფში, მხოლოდ დროის გასაყვანად ვიყენებ...” (თამარი, 35 წლის).*

ხშირად დასახელებული ვირტუალური გაცნობების სერვისი ინდივიდისთვის საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნების და სხვა ლესბოსელებთან ურთიერთობის ერთადერთი გზაა. ამ შემთხვევაში, ინტერნეტი უკვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს, რის გარეშე ცხოვრებაც ადამიანთა უდიდეს ნაწილს უკვე წარმოუდგენლად ესახება.

*“ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ვიცხოვრო ინტერნეტის გარეშე... ბუნებით საკმაოდ მორცხვი ვიყავი, გაუბედავი, და ამის გამო გარე სამყაროსთან კონტაქტისას ხშირად მექმნებოდა გადაულახავი პრობლემები. ამას დამატებული ჩემი სექსუალური ორიენტაცია – ხომ საერთოდ სასოწარკვეთილებაში მაგდებდა! ხშირად მიფიქრია, იქნებ ჩემი გოგონებით დაინტერესებას სწორედაც რომ სიმორცხვე და საკუთარი თავის არაადეკვატური აღქმა განაპირობებდეს-მეთქი? საკუთარ თავში ჩაკეტილობის გამო მუდამ პრობლემები მქონდა საპირისპირო სქესთან ურთიერთობისას. თუმცა, ვერც იმას ვიტყვი, რომ ჩემი სქესის ადამიანებთან მიაღვილდებოდა საერთო ენის გამონახვა. ინტერნეტმა შოკისმომგვრელი როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში. თანდათან, დიდი ძალისხმევით და შრომის ფასად, მე შევძელი საკუთარი თავის პოვნა და რეპრეზენტირება გარემომცველი სამყაროს წინაშე. ინტერნეტი მაძლევდა საშუალებას, ანონიმური და დაფარული ვყოფილიყავი უცხო ადამიანებთან და ასე*

*მემართა ჩემი ვიტუალური კონტაქტები. ამჟამად, ინტერნეტ გაცნობების საიტის საშუალებით, მე შევხვდი იმ ადამიანს, ვინც მიყვარს და ვისაც ვუყვარვარ... ახლა უკვე აღარ მჭირდება გაცნობების საიტებზე შეპარვა, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება, რომ ყველაფერ საუკეთესოს ჩემს ცხოვრებაში ინტერნეტს უნდა ვუმაღლოდე”. (ლინა, 34 წლის)*

გაცნობის მიზნით შედარებით იშვიათად გამოიყენება ინტერნეტ-მესენჯერი Skype. აქ უცნობი ადამიანებისათვის საკუთარი სექსუალური ორიენტაციის მინიშნებას ინდივიდი საკუთარი პროფილის მეშვეობით ცდილობს. ამიტომ, ლესბოსელთა skype პროფილს ხშირად ამშვენებს აშკარა თუ ფარული ლესბოსური შინაარსის ნართაული ციტატები და ფრაზები. ძირითადად, ეს კატეგორია ვირტუალურ ურთიერთობებში საკმაოდ აქტიურად ეძებს პოტენციურ პარტნიორებს.

*“პირადად მე მესენჯერში წარმოდგენილ პროფილს ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. რა თქმა უნდა, მასში პირდაპირ არასოდესაა ნათქვამი, რომ ლესბოსურ ურთიერთობებს ვეძებ, მაგრამ “სტატუსად” ისეთი გამოთქმა ან ფრაზა მომყავს, რომ ნამდვილი ლესბოსელი უთქმელადაც მიხვდება. ამ ხერხით ბევრი გოგო გამიცვნია, და ჩემი ახლანდელი შეყვარებულიც ასე გავიცანი... ჩვენს შორის არსებობს რაღაც უხილავი კონტაქტი, და ინტერნეტში ადამიანის ამოცნობა მისი სექსუალური ორიენტაციის მიხედვით სულაც არ მიჭირს! (ნატუკა, 20 წლის).*

ინტერნეტ გაცნობების სისტემაში საკუთარი ადგილის მოძებნა ნიკის (Nickname) სათანადო დონეზე მოფიქრებითაც შესაძლებელია. მაგალითად, “Pink girl”, “No-balance”, “Fem<sup>1</sup>\_vesna”, “Сапо”, “Ozzydyke” და სხვ. ეფექტის გასაძლიერებლად ინდივიდი ხშირად მიმართავს საკუთარი ორიენტაციის ნართაულად გამჟღავნების დამატებით ხერხს და გრაფაში “about me” წერს მსგავსი შინაარსის ფრაზას: “I am l-ian girl!” “Только с девочками!”, “Some like it hot”, “ელიჩკა ახვლედიანის გემოვნება მაქვს” და სხვ.

*“მე პირადად ვერ მივცემ საკუთარ თავს იმის ფუფუნებას, რომ გაცნობის საიტებზე დავძებნო ხალხი, ველოდო როდის იქნებიან ონლაინში და ა.შ. დროის ეკონომიის მიზნით პირდაპირ “სკაიპის” მეშვეობით ვცდილობ გოგონების გაცნობას. მართალია, ხშირად “ნატურალები” მეჩეხებიან, მაგრამ ჩემი გამოცდილება ხშირ შემთხვევაში არ მღალატობს და ლესბოსელ გოგონებს ბლომად ვპოულობ. მე საკუთარი ორიენტაცია გაცხადებული მაქვს და პროფილშიც მიწერია, რომ ლესბოსელი ვარ. თუ ვინმე ჩემთან კონტაქტს არ მოისურვებს, არც ამაზე ვიღარდებ. მაგრამ, საქმეც ამაშია, რომ გოგონები შეხვედრაზე უარს იშვიათად მეუბნებიან. დაკომპლექსებულ და უაზრო ხალხთან დროს არ ვკარგავ. თავის თავს ლესბოსელებს უწოდებენ, მაგრამ თავი ათასგვარი სისულელეებით აქვთ გამოტენილი. სად მცალია იმისთვის, რომ ვიღაცებს ონლაინ ლექციები ვუკითხო იმის შესახებ, რომ ლესბოსელობა “ღვთის სასჯელი” რა მსგავსი რაღაც სისულელე არაა და ადამიანის პირადი მოცემულობაა? ყველამ მაპატიოს, მაგრამ ასეთ გონებაზეზღუდულთან ურთიერთობას ნორმალურ ბიჭთან გასაუბრება მირჩევნია!” (სოფო, 19 წლის).*

<sup>1</sup> ნუჩ/фем/дайка - ლესბი ლექსიკაში ლესბოსელთა გარეგულ მხარეზე დაყრდნობით გავრცელებული გენდერული სტერეოტიპები – “ბუჩი” – მკაფიოდ გამოხატული მამაკაცური გენდერი, “ფემი” ანუ “კლავა” – გადაჭარბებულად ქალური გარეგნობა და ქცევა, და “დაიკი” – თანამედროვე უნისექს სახე.

ვირტუალური ურთიერთობების კიდევ ერთი მთავარი კომპონენტია ავატარი. ავატარის მნიშვნელობა მით უფრო იზრდება, თუ საქმე ეხება საკუთარი სექსუალური ორიენტაციის ფარულად წარმოჩენის მცდელობას. რესპონდენტთა პროფილების შესწავლისას, უმრავლესობას ავატარი წარმოდგენილი აქვს უტრირებულად ფემინური სიმბოლიკით. რასაკვირველია, მხოლოდ ავატარის მეშვეობით ინდივიდის ორიენტაციაზე წარმოდგენის შექმნა საკმაოდ საძნელო საქმეა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სხვა კომპონენტებსაც (სტატუსი, ნიკი), ეს ყველაფერი მთლიანობაში უკვე შთამბეჭდავ პროფილს ქმნის.

*“ავატარს ხშირად ვცვლი, განწყობისდა შესაბამისად, მაგრამ, როგორ ხასიათზეც უნდა ვიყო, ჩემი ავატარი ყოველთვის ქალის ცნებას უკავშირდება. გამოსახულება შეიძლება იყოს ათასგვარი – ანიმაციური, ფოტოგრაფია... შესაძლოა დავაყენო ქალის ფეხის ტერფის ან ტუჩების ფოტო, რომ ყველამ იცოდეს – მხოლოდ ქალი მადლეებს და მაინტერესებს! ჩემთვის ინტერნეტ ურთიერთობები უკვე ერთგვარი რიტუალიცაა – არ მინდა, ჩემს ონლაინ მეგობრებს ჩემზე უინტერესო და უსახური წარმოდგენა ჰქონდეთ! მართლაც – ყველა ადფრთოვანებაში მოჰყავს ჩემი ფანტაზიის უნარს. ჩემი ონლაინ იმიჯი განუყოფელია რეალური იმიჯისგან.”*  
(თიკუნა, 23 წლის).

ინტერნეტის მეშვეობით თანამოაზრეების, თანამოსაუბრეების, პოტენციური პარტნიორების ძებნა საკმაოდ კომფორტული ხდება, მით უფრო, როდესაც თავად ვირტუალური საზოგადოების წევრების მიერ ურთიერთობებისათვის შემუშავებულია მათთვის მაქსიმალურად მოსახერხებელი სისტემა. თუმცა, ონლაინ კომუნიკაციებს გააჩნიათ თავისი უარყოფითი მხარეებიც, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

## **2.2. ქსელური ურთიერთობების საშიშროებანი. ვირტუალური კომუნიკაციების პოზიტიური და ნეგატიური შედეგები**

ინტერნეტკომუნიკაციის ძირითადი თავისებურებები – შეზღუდული სენსორული პირობები და ანონიმურობა ინდივიდს საშუალებას აძლევს, საკუთარი პერსონის რეპრეზენტირება ვირტუალურ სივრცეში მოახდინოს თავისი სურვილისამებრ. ვირტუალური კომუნიკაციისას ერთადერთ საინფორმაციო წყაროს თანამოსაუბრის შესახებ ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს ტექსტური შეტყობინებები. აქ, რეალური სივრცისგან განსხვავებით, მთლიანადაა წაშლილი ადამიანის სოციალური პოზიციის და არავერბალური ქცევის ინდიკატორები. სხვა მომხმარებელთათვის ცნობილია მხოლოდ კომპიუტერის ქსელური მისამართი. ყველა სხვა ინფორმაციას თითოეული მომხმარებელი გასცემს თავისი სურვილისამებრ .

შესაბამისად, ვირტუალური კომუნიკაცია ქმნის საშუალებას, ინდივიდმა საკუთარი თავი გაასაღოს რეალურად არ არსებულ, იდეალიზირებულ პერსონად. თანამოსაუბრის უხილავობას ხშირად მივყავართ იქამდე, რომ სხვა ინდივიდის სახე იქმნება იმ მოდელისდა მიხედვით, თუ ვინ აღიქვამს მას. ამიტომ, საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც ინდივიდი ლესბი პროფილს ამოფარებულ ინტერნეტ ხულიგანთა მსხვერპლი ხდება. ხშირად საქმე იქამდეც მიდის, რომ ერთი შეხედვით უწყინარი ინტერნეტ გაცნობა სტრესითა და კომმარებით სრულდება.

*“ჩემი ორიენტაციის შესახებ არასოდეს არავისთან მისაუბრია პირადად. იყო დრო, როდესაც ამაზე ფიქრი და საკუთარ თავთან განდობაც კი შიშს მგვრიდა. მაგრამ, ასაკის მომატებასთან ერთად, ჩემში გოგონებთან ფიზიკური სიახლოვის დაულოკებელმა სურვილმაც იმატა. ერთხელ შემთხვევით გავიგე, რომ გაცნობების*

საიტებს გააჩნიათ განსაკუთრებული განყოფილებები – სექსუალური უმცირესობებისთვის. წარმოიდგინეთ, რამხელა ასპარეზი მომეცა სამოქმედოდ! სულს და გულს: ნებისმიერი ასაკის, ინტერესის, პროფესიის ადამიანები ითხოვენ შენს გაცნობას! არც მეგონა, თუ ამდენი გოგონა “არატრადიციული ორიენტაციის” მიმდევარი იქნებოდა! მაგრამ ჩემი აღფრთოვანება მალე გაწბილებით შეიცვალა, რადგან ვისაც კი მივწერე, ყველასგან ძალიან ბინძური და შეურაცხმყოფელი პასუხები მივიღე. თითქმის უკლებლივ ყველა მოსალმების ნაცვლად პორნოგრაფიული და გულისამრევი შინაარსის წერილებს მწერდა.

ის-ის იყო, საიტიდან საკუთარი მონაცემების წაშლა გადაწყვიტე, რომ ჩემი ყურადღება ერთმა წერილმა მიიქცია. ავტორს სითამამე ეტყობოდა, თუმცა ვულგარული და პრიმიტიული არ ჩანდა. გადავწყვიტე მეპასუხა. მოკლედ, ჩვენი ურთიერთობა საკმაოდ წარმატებით განვითარდა. ასე გაგრძელდა დაახლოებით ორი თვე. ეს ადამიანი შემეყვარდა, თუმცა მასთან შეხვედრას მაინც გავუბრუნდი. შემდეგ შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ ის ფოტოები, თავისად რომ ასაღებდა, სულ სხვა ადამიანს ეკუთვნოდა. ძალიან გავბრაზდი, და ჩემი “მეგობრისგან” პასუხი მოვითხოვე. მან ცინიკურად მომახალა, ველოდებოდი, როდის მიხვდებოდი, რომ ბიჭი ვარ, რა საცოდავი ხარ, რომ ამას ჯერ კიდევ ვერ ჩაწვდა შენი გაყინული ტვინიო! ჩემთვის ეს იყო ძალიან დიდი სტრესი. ამის შემდეგ სათოფეზე არ ვეკარები ამ საშინელ საიტებს. მირჩევნია ვიყო მარტო, ვიდრე მანიაკების გარემოცვაში!” (სოფო, 23 წლის).

მართლაც, ინტერნეტ გაცნობების სისტემაში სიცრუე თითქმის ყველაზე დომინანტური და მიღებული ფორმაა. ხშირად, ამ ანკესზე პირად და საზოგადოებრივ ურთიერთობებში მეტ-ნაკლებად გამოუცდელი ადამიანები ეგებიან.

“ჩემთვის ინტერნეტ ურთიერთობები საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნების ერთადერთი მისაღები ფორმაა. ამიტომ, ასე მეგონია, რომ ჩემს ნამდვილ “მე-ს” მხოლოდ კომპიუტერი ხედავს... სწორად გამიგეთ, განა სხვაგან სად შემიძლია ვისაუბრო საკუთარ გრძნობებზე, თუ არა უცხო ადამიანებთან? მე მათთან ბევრად მეტ სიახლოვეს ვგრძნობ, ვიდრე საკუთარი ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან. ხშირად მქონია შემთხვევები, როდესაც ჩემი ვირტუალური თანამოსაუბრე სრულიად სხვა ვინმე აღმოჩენილა, ვიდრე ამას თავად ირწმუნებოდა. ხალხი ბევრნაირია. ზოგი ასაკს მალავს, ზოგი სქესს, ორიენტაციას, საკუთარ გარეგნობას და ა.შ. ეს ფაქტი ბევრს უკიდურესად აღიზიანებს, მხოლოდ არა მე; გააჩნია, ვინ რას ელის ამ ურთიერთობებისგან. ჩემი ინტერესი ვირტუალური გაცნობების სივრცეში არის მხოლოდ თანამოსაუბრეებთან ურთიერთობა, მათთვის იმ ნააზრევის განდობა, რასაც იმ მომენტისთვის ვგრძნობ... და თუ საუბარი შედგა, თუ ეს ადამიანი კვლავ და კვლავ მოისურვებს რომ მომისმინოს და გამიგოს, ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, თუ იგი რაღაცას მატყუებს? არც არავითარი!” (ანანო, 27 წლის).

ჩანს, გაუგებრობა წარმოიქმნება მაშინ, როდესაც სხვადასხვა ინდივიდი ვირტუალურ ურთიერთობებს სხვადასხვა დატვირთვას ანიჭებს. დასახელებული რესპონდენტის სიტყვებით, იგი აქ მხოლოდ ფსიქოლოგიურ განტვირთვას ეძებს და სხვას არაფერს. ამ შემთხვევაში, მისთვის უკვე უმნიშვნელო ხდება თავად მისი თანამოსაუბრის ვინაობა. უფრო მეტიც – ინფორმანტი საკმაოდ გულგრილად ეკიდება იმ ფაქტს, რომ ასეთი ურთიერთობისას ვიღაცამ შესაძლოა მწარედ მოატყუოს. ამ შემთხვევაში, იგი საკმაოდ კმაყოფილია ასეთი სახის ურთიერთობებით და ანონიმურობის პირობა, - სხვებისთვის ასეთი გამაღიზიანებელი და მტანჯველი, - მისთვის ურთიერთობის იდეალური ფორმაა.

ვირტუალური ნაცნობობის გაუთვალისწინებელ ლაბირინთებში ხეტიალი ხანდახან რესპონდენტისთვის ვეება ხათაბალად გადაიქცევა ხოლმე. თუმცა, დასახელებული სერვისების ზოგიერთი მომხმარებლისთვის არც ეს უსიამოვნო ფაქტორი წარმოადგენს გადაუჭრელ პრობლემას:

*“როდესაც ინტერნეტ გაცნობების საიტების ეს “თავისებურება” ჩემთვის სიახლე იყო, ბევრჯერ გავმხდარვარ ლესბი გოგონას პროფილს ამოფარებულ ინტერნეტ ხულიგანთა ბოროტი ხუმრობის მსხვერპლი. რასაკვირველია, ამან ჩემში საკმაოდ უარყოფითი და სკეპტიკური განწყობა გამოიწვია. მაგრამ, საბედნიეროდ, მალე ავუღე ალლო უცხო ადამიანების ინტერნეტ გაცნობის მექანიზმს და დღესდღეობით ჩემი მოტყუება პრაქტიკულად გამორიცხვლია. ტყუილის ამოცნობა უკვე პროფილითაც კი შემიძლია. მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია? მიხარია, რომ ინტერნეტ გაცნობების სერვისი არ შევიძულე მისი უარყოფითი მხარეების გამო. ახლა ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ინტერნეტით ბოლოს და ბოლოს შევხვდი იმ ადამიანს, ვის გამოც ყოველი დილის გათენება ჩემთვის დიდი დღესასწაულია... ამისთვის მართლა ღირდა იმ უსიამოვნებების გადატანა, რაც საკმაოდ მრავლად შემთხვევია ინტერნეტ გაცნობების საიტებზე” (ლულუ, 27 წლის).*

ვირტუალური გაცნობების სერვისი არცთუ იშვიათად ინდივიდისათვის უმნიშვნელოვანეს სასიცოცხლო პირობას წარმოადგენს (სასიყვარულო თავგადასავლების, უბრალოდ მეგობრობის, ფსიქოლოგიური თანადგომის მაძიებელნი აქ შესაბამის პარტნიორს ხშირად პოულობენ). ინფორმანტები ხაზს უსვამენ, რომ კომუნიკაციის დასახელებული საშუალება მათთვის გასართობი და დროის გასაყვანი ხერხი კი არაა (როგორც ამას ინტერნეტის მრავალი მომხმარებელი აღიქვამს), არამედ მათი ცხოვრების “ჰაერივით აუცილებელი, განუყოფელი ნაწილი”.

*“ინტერნეტ ნაცნობობა ჩემთვის ცხოვრებაში ლამის ყველაზე მთავარი პრიორიტეტია... ეს ალბათ იმიტომ, რომ მე არ გამაჩნია სხვა სივრცე, სადაც მოვახერხებდი, ასე ლაღად მეგრძნო თავი, როგორც აქ... სკაიპში მყავს რამდენიმე მეგობარი გოგონა, ვისთან ურთიერთობამაც ჩემს ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა... მეცინება საკუთარ თავზე – რომ არა ჩემი ვირტუალური აქტივობა, ისე მოკვდებოდი, რომ ვერ გავიგებდი ვინ ვარ და რა მინდა... გათხოვილი ვარ, შვილებიც მყავს, მაგრამ ქალის მიმართ ჩემს დაუოკებელ ინტერესსა და ლტოლვას მხოლოდ ჩემმა ინტერნეტ ურთიერთობებმა ახადა ფარდა... დაიჯერებთ? მხოლოდ ამ გზით მივხვდი ვინ ვარ... თორემ ჩემს თავს ერთ უიღბლო, ფრიგიდულ ქალად აღვიქვამდი და მორჩა... თუმცა ცხოვრებაში არაფრის შეცვლას ვაპირებ – ქმარი “ძველი ბიჭია” – ქუჩის გაგების ადამიანი. მისგან რომ წამოვიდე, ვიცი, ცოცხალს არ გამახარებს. მაგრამ მე იმისიც მადლობელი ვარ, რომ გაუგებრობასა და ეჭვებში არ მოკვდები და ზუსტად ვიცი, ვინ ვარ” (თინა, 42 წლის).*

პირად ცხოვრებაში გაურკვევლობა, თავდაუჯერებლობა, ფრუსტრაცია ინდივიდს უქმნის ახალ რეალობას, სადაც ინტერნეტს ჰიპერბოლიზირებული როლი ენიჭება. აქ ვირტუალური სამყარო უკვე მრავალფუნქციურ როლს ითავსებს: ინდივიდს ეხმარება საკუთარი იდენტობის გათავისებაში და მას გზას უხსნის აქამდე მისთვის სრულიად უცხო და მიუღებელი სამყაროს აღქმა-გათავისებისკენ.

რაც შეეხება ქსელური კომუნიკაციების უარყოფით მხარეებს, რასაკვირველია, მისი თანმდევი საშიშროებანი ნებისმიერ ადამიანს შეიძლება დაემუქროს – ამისგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს სოციალურად მოწყვლად ჯგუფთან, რომლის წარმომადგენლებიც რეალურ სივრცეში ხშირ შემთხვევაში საკუთარ სექსუალურ

ორიენტაციას მალავენ. ამიტომ, საკუთარი ვინაობის დაუფიქრებელ გამჟღავნებას ვირტუალურ სივრცეში შესაძლოა ინდივიდისთვის საკმაოდ სავალალო შედეგი მოჰყვეს.

ინტერნეტის, როგორც “სხვა სამყაროს” თემამ, სხვადასხვა კონტექსტებით არაერთხელ გაიჟღერა მიმდინარე კვლევაში. ვისთვის ის რეალობისგან გაქცევის მცდელობაა, ვისთვის - განსხვავებული ცხოვრების წესი. თითოეული რესპონდენტის მონათხრობში ვირტუალური სივრცე განიხილება თავად ინდივიდის ცხოვრებისეული პრაქტიკის შესაბამისი პრიზმიდან. ის ფაქტი, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა ერთმანეთისგან კატეგორიულად მიჯნავს რეალურ და ვირტუალურ სამყაროებში ქცევის წესებს, მეტყველებს იმაზე, რომ მათთვის მართლაც არსებობს ორი სამყარო. ეს არის “ემიგრაცია” სამყაროდან სამყაროში, ერთდროულად ორ სივრცეში ცხოვრების მცდელობა. მსგავსი მარგინალური ქმედება გამომდინარეობს, ერთი მხრივ, ამ ორი სამყაროს წესების “შეჯერების” სურვილში, მეორე მხრივ კი ინდივიდის უკმაყოფილებით ერთბაშად ორივე სამყაროს არასრულფასოვნებით.

**2.3. თბილისელ ლესბოსელთა სოციალური ქსელები და ინტერნეტის ადგილი მათ სოციალურ აქტივობაში**

თბილისელ ლესბოსელ ქალთა სოციალური აქტივობების უკეთ გამოსავლენად და დანარჩენ საზოგადოებაში მათი ადგილის, ინკლუზია-ექსკლუზიის სურათის წარმოსაჩენად კვლევის პროცესში გამოყენებულია ე.წ. “სადღიურე მეთოდი” , რომელიც გულისხმობს მონაცემთა შეკრებას პერსონალური ქსელის შესახებ. ინფორმანტი ადგენს დღიურს, სადაც აღნიშნავს თავის ყოველდღიურ კონტაქტებს. ამ მეთოდით საკმაოდ მოსახერხებელია ინფორმანტის ყოველდღიური ცხოვრების ერთგვარი რეკონსტრუირება. ამის მეშვეობით, შესაძლებელი გახდა საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება აქტორთა სოციალური კავშირების, მათი კონტაქტების სიხშირისა და შინაარსის შესახებ.

“ჩემი ახლობლებისთვის და მეგობრებისთვის მე ერთი ჩვეულებრივი გოგო ვარ. წარმოიდგინეთ, ჩემმა ძმამ, ნახალოვკელმა ძველმა ბიჭმა რომ გაიგოს ჩემი ლესბოსელობის შესახებ... ეს კატასტროფა იქნებოდა... ალბათ მომკლავს... როდესაც ინტერნეტით ვესაუბრები გოგონებს, მაშინაც არ მტოვებს სიფრთხილის გრძნობა და ყველა ჩემი საუბრის კვალს საგულდაგულოდ ვშლი... ჩემს მობილურში არც ერთი “ლესბიანკას” ნომერი არ მიწერია, იმის შიშით, რომ ვიღაც რაღაცას გაიგებს... ამას წინათ “სკაიპით” ერთი გოგო გავიცანი, ერთმანეთს შესანიშნავად ვუგებთ, მაგრამ ტელეფონით კატეგორიულად არ ვეკონტაქტები – არ მჭირდება ზედმეტი პრობლემები! ჩემი ორიენტაციის გამჟღავნებას მხოლოდ ინტერნეტით ვბედავ და ისიც ძალიან შეზღუდულ ფარგლებში...” (ნონა, 24 წლის).

მოცემულ შემთხვევაში ზედმეტია საუბარი რესპონდენტის სოციალური ქსელების სიფართოვეზე, რადგან მისთვის სხვა ლესბოსელებთან საკონტაქტო სივრცე ინტერნეტის გარდა არ არსებობს.

*“დღის მანძილზე უამრავ ადამიანთან მაქვს შეხება – თანამშრომლებთან, ოჯახის წევრებთან, მეზობლებთან, მეგობრებთან... ხშირად ისეთი დადებითი ვარ, რომ საერთოდ არავის დანახვა და არავის ხმის გაგონება არ მინდა... მაგრამ, როგორც ცუდად არ უნდა ვიყო, ჩემთვის ჩემს გოგონებთან ყოველდღიური კონტაქტი ჰაერივით აუცილებელია... მე მყავს “ლესბიანკების” ჩემი წრე, აქ თავს საოცრად კომფორტულად ვგრძნობ. ხან ვის სახლში ვიკრიბებით, ხანაც - ვისთან. ყოველდღე თუ არ ვნახე ჩემი გოგონები, ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს, რადგან მხოლოდ აქ ვგრძნობ თავს ლაღად და თავისუფლად, რადგან მხოლოდ აქ ვარ რეალური, ნამდვილი ლალი! “სკაიპშიც” ძირითადად იმიტომ შევდივარ, რომ ჩემს გოგონებს ვეკონტაქტო...” (ლალი, 36 წლის).*



ამ შემთხვევაში ინფორმანტის საკომუნიკაციო სივრცეში უპირატესი ადგილი უჭირავს სექსუალური ორიენტაციის მიხედვით შერჩეულ კონტაქტებს. თავად აქტორი ამას საკმაოდ მარტივად ხსნის და განმარტავს, რომ სხვა სახის კონტაქტები მისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია. ნიშანდობილია, რომ რესპონდენტი არ განეკუთვნება ე.წ. “ღია” ლესბოსელების რიცხვს. შესაბამისად, ადვილი გასაგებია, თუ რატომ იძენს მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფუნქციას დასახელებულ ჯგუფთან ინტერსიური კონტაქტი – მისივე სიტყვებით, მხოლოდ აქ გრძნობს თავს თავისუფლად და მხოლოდ აქ არ უხდება თვალთმაქცობა.

*“ისეთი “გიჟური” ცხოვრების ტემპი მაქვს, რომ ჩემი კონტაქტები აბსოლუტურად ყველა სფეროდან შეიძლება შეირჩეს. ჩემს დღიურ განრიგში უამრავი გეგმაა, ამის შედეგად ხშირ შემთხვევაში პირადი შეხვედრებისთვის დრო აღარც მრჩება. თუმცა, როგორც ჩემი დღიურიდან ირკვევა, დღეში ერთხელ “სკაიპით” მაინც ვეხმიანები ვინმე “ჩემიანს”. ხშირად იმდენად დაღლილი ვარ ხოლმე, რომ არავისთან საუბრის თავი არ მაქვს, მაგრამ “ჩემიანთან” საუბარი, როგორც ჩანს, აუცილებლად მიმაჩნია... სხვათა შორის, ამაზე აქამდე არც მიფიქრია...” (ლორა, 26 წლის).*

რასაკვირველია, პრივატული სივრცის სოციალური სივრცით ჩანაცვლება ინდივიდს ვერ უვსებს დანაკლისს და ამ ფონზე მისი სწრაფვა “თავისიანებთან” კონტაქტზე გასვლისა სავსებით ბუნებრივად გამოიყურება. მნიშვნელოვანია, რომ სიტყვით “ჩემიანი” იგი მოიხსენიებს ლესბოსური ორიენტაციის მქონე ადამიანებს და არა სხვა ტიპის კონტაქტებს (თუნდაც მეგობრებს). რაც შეეხება “არალესბოსურ” კონტაქტებს, მათ რესპონდენტის ცხოვრებაში საკუთარი დანიშნულება გააჩნიათ და ინსტრუმენტულ (პრტაქტიკულად ორიენტირებულ, სარგებლიან) ხასიათს ატარებენ.

*“მე, რადგან ჩემს ორიენტაციას არ ვმაღავ, ამის გამო მთელი დღე შემიძლია მხოლოდ ლესბო გოგონებთან ვიურთიერთო და ხშირად ასეც ვიქცევი. გული ძალიან მწყდება, რომ თბილისელ ლესბოსელებში “ბუჩის”, “ფემისა” და “დაიკის” გაგება საერთოდ არ არსებობს! როცა გოგოსთან მივდივარ და ვეკითხები, “ბუჩი” ხარ თუ “დაიკი”-მეთქი, ისეთი გაკვირვებული სახით შემომცქერის, თითქოს უცხოპლანეტელი ვიყო. არადა, როცა ადამიანმა იცის, ვინაა და რას წარმოადგენს, მასთან ურთიერთობა ბევრად უფრო ადვილი ხდება... აი მაგალითად, მე “დაიკი” ვარ, და ასევე მაინტერესებს, რას წარმოადგენს ჩემი ახლად გაცნობილი თანამოსაუბრე! ამიტომ, როდესაც ან ინტერნეტით, ან პირადი ნაცნობობისას, წავაწყდები ისეთ გოგოს, ვინც ზუსტად იცის ვინაა და რას წარმოადგენს, ასეთი ნაცნობობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს! მაგრამ ასეთი რამ ძალზე იშვიათად ხდება და ისიც იმ შემთხვევაში, თუ საქმე მაქვს რუს, უკრაინელ, ან რუსეთში ნაცხოვრებ ქართველ გოგოებთან... აქაურები ამის გაგებაში არ არიან!” (სოფო, 19 წლის).*

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს “ღია” ლესბოსელთან, ვისთვისაც საკუთარი ორიენტაციის ხმამაღლა გაცხადება პრობლემა არაა. როგორც მისი ნაამბობიდან ირკვევა, იგი დიდი ხანია, სახლიდან წამოვიდა და ახლა მეგობარ გოგონასთან ერთად ცხოვრობს ნაქირავებ ბინაში. არ მუშაობს, მაგრამ დედა საბერძნეთიდან ყოველთვიურად იმდენ თანხას უგზავნის, რომ ბინის ქირასა და თავის გატანას ყოფნის. ამბობს, რომ ოჯახში დაბრუნებაზე არასოდეს იფიქრებს (ოჯახი გულისხმობს მამას, უფროს ძმასა და პატარა დას). ახლა სამსახურს ეძებს. მეგობარ გოგონასთან ბოლო დროს ურთიერთობა დაეძაბა და ფიქრობს, რომ მათი რომანი უკვე დასრულდა. ამჟამად ინტერნეტ გაცნობების საიტებზე მისი გააქტიურება სწორედ ახალი პარტნიორის ძიებასთანაა დაკავშირებული. ამ შემთხვევაში აქტორისთვის ყველაზე მთავარი სოციალური კონტაქტი (დედა, რომელიც

გზავნის ფულს) ასრულებს მატერიალურ ფუნქციას (ეს რომ არა, დამოუკიდებლად ცხოვრებას ვერ შეძლებდა). ემოციურ კონტაქტს (მეგობარ გოგონას) ადვილად შეეღობა და ახლა ახლის ძიებაშია. როგორც ჩანს, ზემოთ მოყვანილ რესპონდენტთაგან მას ბევრად განსხვავებული ტიპის პრობლემები აწუხებს – ღიზიანდება, რომ თბილისელ ლესბოსელებში არ არსებობს კატეგორიზაცია, რის მიხედვითაც უპრობლემოდ შეძლებდა თავისთვის სასურველი პარტნიორის შერჩევას.

*“რასაკვირველია, როდესაც ჩემს ორიენტაციას ხმამაღლა ვაცხადებ, მზად უნდა ვიყო ყველანაირი აგრესიისათვის საზოგადოების მხრიდან. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი-ორი არამკითხე ბებიის გარდა, მაინც და მაინც აგრესიას და სიძულვილს არავისგან ვგრძნობ. პირიქით, ჩემი უბნის ბიჭები დიდი ინტერესით და აღტაცებითაც კი მექცევიან (იციან, შ.გ.). ყოფილა შემთხვევები, რომ სამსახურიდან დავუთხოვივარ შეფს ჩემი ორიენტაციის გამო, მაგრამ ამას ნამდვილად არ განვიცდი – სხვა და უკეთესი სამსახურიც მიმოვინა. ამჟამად კონსულტანტად ვმუშაობ ერთ-ერთ ბრენდ-მაღაზიაში. ადრე ორიენტაციაზე ხმამაღლა ლაპარაკი სამყაროს დასასრულად მესახებოდა, მაგრამ გავიდა დრო და აი – გავბედე! – და არც არაფერი განსაკუთრებული; ცხოვრება მაინც შესაძლებელია. მე ამ საქმეში არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი. ჩემს ირგვლივ ძალიან ბევრი “ღია” ლესბოსელია. ოდესღაც მეც მათმა მაგალითმა გადამადგმევინა ეს ნაბიჯი. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ საზოგადოება ლესბოსელობას ბევრად უფრო “ღიადად” აღიქვამს, ვიდრე მამაკაცის ჰომოსექსუალობას. მე რომ გეი ყოფილიყავი, ალბათ ქამინგ-აუტს ვერ გავბედავდი. ასე თუ ისე, მე შევძელი და შევინარჩუნე ურთიერთობა ძირითადად ყველა ჩემს ახლობელთან, მეგობართან, ოჯახის წევრთან, აი მამაკაცად რომ დავბადებულიყავი და ქამინგ-აუტი გამეკეთებინა, ზუსტად ვიცი, რომ ამას არავინ მაპატიებდა.” (თიკუნა, 23 წლის).*

ნიშანდობლივია, რომ ინფორმანტმა, მიუხედავად ქამინგ-აუტისა, მოახერხა და შეინარჩუნა ურთიერთობა ძირითადად ყველა ახლობელთან, მეგობართან, ოჯახის წევრთან. ქამინგ-აუტის გადაწყვეტილება როდესაც მიიღო, ყველაფრისთვის მზად იყო, თუმცა მის ამ ნაბიჯს მაინც და მაინც დიდი აჟიოტაჟი არ გამოუწვევია საზოგადოებაში. ყველაფერ ამისდა მიუხედავად, ღრმადაა დარწმუნებული, რომ გეი რომ ყოფილიყო, ქამინგ-აუტს ვერ გაბედავდა. რა თქმა უნდა, ამ კანონებს თავად საზოგადოება განსაზღვრავს და მისი ფალოცენტრული მსოფლალქმის გამო ქალის ჰომოსექსუალობა ნაკლებ აგრესიას იწვევს, ვიდრე მამაკაცისა. მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზეზის გამო შეინარჩუნა დასახელებულმა რესპონდენტმა თავისი არასპეციფიკური კონტაქტების უმეტესი ნაწილი ქამინგ-აუტის შემდეგ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ქამინგ-აუტისთვის მზად იყო, მაინც სიამოვნებს უბნის ბიჭების აღტაცება (ემოციური კონტაქტი, ნეგატიური რეაქციის საპირისპიროდ). ასევე აუცილებელია ითქვას, რომ დასახელებული რესპონდენტი საკმაოდ პრივილეგირებული ოჯახიდანაა. მაღალი სოციალური სტატუსის ქონამ, როგორც ჩანს, ქამინგ-აუტის უსიამოვნო აქტი საკმაოდ შეარბილა.

*“ძალიან არ მსიამოვნებს, როდესაც ადამიანებს ყოფენ კანის ფერის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიური რწმენის ან რაიმე კიდევ სხვა ნიშნის მიხედვით. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ყველა ერთნაირი უნდა იყოს, მაგრამ ჩემი სექსუალური ორიენტაცია ჩემი პირადი საქმეა და ამის გასაჯაროება სისულელედ მიმაჩნია. რა თქმა უნდა, ჩემს ყოველდღიურ კონტაქტებში არის ლესბოსური ხასიათის ურთიერთობები, მაგრამ, მე ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. არც*

*საზოგადოებასთან ინტეგრაციის პრობლემა მაწუხებს, რადგან არავინ იცის რომ ლესბოსელი ვარ და საზოგადოება ყველა შემთხვევაში თავის სრულუფლებიან წევრად აღმიქვამს. არა, აქ დისკრიმინაციის პრობლემა არ დგას. ჰოლანდიაშიც რომ ვცხოვრობდე, არც იქ ვიყვირებდი ხმამაღლა, ვინ ვარ. ვფიქრობ, რომ ეს საკითხი ძალიან ინტიმური და პირადულია საიმისოდ, რომ სხვა ადამიანების საჯიჯგნად გამოვიტანო ოდესმე. ასე რომ, საზოგადოებაში უპრობლემოდ ინტეგრირებული ვარ და არც ჩემი ორიენტაციის ადამიანებთან ყოველდღიურ კონტაქტზე ვამბობ უარს.” (ლელა, 35 წლის).*

რესპონდენტი უპირისპირდება ამა თუ იმ ნიშნით ადამიანების სეგრეგაციის მცდელობას და ფიქრობს, რომ ინდივიდის სექსუალური ორიენტაცია არ უნდა წარმოადგენდეს მისი დანარჩენი საზოგადოებისგან გამორჩევის საწინდარს. მისი აზრით, საზოგადოებაში ინტეგრირების პრობლემა არ არსებობს, თუ ინდივიდი თავად არ მოინდომებს ამ საკითხის გამწვავებას. მისი თქმით, პიროვნება საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიას თავად განსაზღვრავს და თუ იგი კონფლიქტის მომხრეა, ამაში მხოლოდ თვითონაა დამნაშავე. მის მიერ წარმოებულ დღიურებში ყველაზე ხშირი კონტაქტები აღინიშნა მეგობრებთან (უპირატესად მამაკაცებთან) კომუნიკაციისას. როგორც ჩანს, ეს არის წმინდა ინფორმაციული სახის კონტაქტები და რესპონდენტისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თავისი მეგობრების აზრი მის შესახებ. გამორიცხული არაა, რომ სწორედ მეგობრების აზრის გათვალისწინებით შექმნა მან საკუთარი ცხოვრების და შეხედულებების ის მოდელი, რომელსაც დღემდე პრაქტიკაში იყენებს.

როგორც ე.წ. “სადღიურე მეთოდის” გამოყენებამ დაგვარწმუნა, თბილისელი ლესბოსელები საკმაოდ აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე მეტ-ნაკლებად უპრობლემოდ ახერხებენ ამ ცხოვრებაში სრულად ჩართულობასა და ინტეგრირებას. აქ ძირითადად თავს იჩენს ინკლუზიის ორი სტრატეგია –

- საკუთარი სექსუალობის შენიღბვა და ამით ზედმეტი პრობლემებისთვის თავის არიდება;
- ქამინგ-აუტი
- შუალედური პოზიცია – საკუთარი სექსუალობის გაჟღერება მხოლოდ ინდივიდისთვის სასურველ სივრცეებში

რასაკვირველია, პირველი სტრატეგია ბევრად უფრო მოხერხებული და გავრცელებულია დღევანდელი თბილისის ლესბი საზოგადოების უმეტესი ნაწილისათვის. ამ შემთხვევაში ინდივიდს აღარ უწევს კონფლიქტი პატრიარქალურ წეს-ჩვეულებებთან (თუმცა ამის ხარჯზე ხშირად ირღვევა მისი პრივატული სივრცე, რაც თავის მხრივ, წარმოშობს ბევრ გადაულახავ პრობლემას).

ქამინგ-აუტის დროს, პირიქით, ინდივიდი მზადაა საკუთარი სექსუალური იდენტობის საჯარო სივრცეში გადატანისა და საჭიროების შემთხვევაში მისი დაცვისათვის. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საზოგადოება რიგ შემთხვევებში არატოლერანტულია ლგბტ ადამიანების მიმართ, მოცემულმა კვლევამ დაადასტურა, რომ ამ სივრცეში არსებობს პრეცედენტები, როდესაც ინდივიდი ასაჯაროებს საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას, მაგრამ ამით არსებითად ბევრი არაფერი იცვლება, განსაკუთრებით მისი ახლობლებისა და მეგობრების წრეში, ანუ არ ხდება პიროვნების სტიგმატიზაცია (“სტიგმა” – “ინდივიდის სამარცხვინო” ქმედება) . სწორედ სტიგმატიზაციის შიში წარმოადგენს მთავარ მიზეზს, რის გამოც დღესდღეობით თბილისელ ლესბოსელ ქალთა დიდი ნაწილი გაურბის საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნებას საჯარო სივრცეში.

უკანასკნელი სტრატეგია წინა ორთან შედარებით მართლაც მოქნილია, ვინაიდან, სიტუაციისდა შესაბამისად, მას გააჩნია ლავირების შესაძლებლობა: თუ ერთ შემთხვევაში პრიორიტეტად მიჩნეულია ნორმატიული სოციალური იდენტობის კონსტრუირება, ჰეტეროსექსუალურ ურთიერთობათა ტრადიციული სცენარის მიმდევრობა, საზოგადოებრივ კონფლიქტზე უარის თქმა, მეორე მხრივ, ინდივიდისათვის სასურველ სივრცეში, იგი ახდენს საკუთარი სექსუალური იდენტობის ღია დეკლარირებას.

## ღასკვნა

მოცემული კვლევის მთავარი მიზანი იყო თბილისის ლესბი ქალთა ვირტუალური საზოგადოების შესწავლა, ვინაიდან ინტერნეტ სივრცე დღესდღეობით უალტერნატივო საშუალებად მივიჩნიე ამ დახურული ჯგუფის უკეთ წარმოჩენის საქმეში. კვლევის პროცესში თანდათან გამოიკვეთა ის მიზეზები და პრობლემები, რომელთა გამოც მოცემული ჯგუფი იძულებულია მოერგოს მისთვის საკმაოდ მნიშვნელოვან და სასიცოცხლოდ აუცილებელ სოციალურ აქტივობას.


რასაკვირველია, საკუთარი სექსუალური იდენტობის გასაჯაროება-არ გაცხადების საკითხი ინდივიდის პირადი გადაწყვეტილებაა. კვლევის შედეგად გამოვლინდა თბილისელ ლესბოსელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ვინც ამ თემაზე საჯაროდ საუბარს სრულებით ზედმეტად თვლის და მოცემულ გარემოში თავს მეტ-ნაკლებად კომფორტულად გრძნობს. მაგრამ, არსებობს ლესბოსელთა ის კატეგორიაც, ვისაც “ლიად” ცხოვრების დიდი სურვილი გააჩნია და იმის გამო, რომ საკუთარი სექსუალობის დაფარვა უწევს, ფსიქოლოგიური და სოციალური ხასიათის საკმაოდ ბევრი ბარიერის წინაშე დგას. ამ პრობლემების გადაულახავობის გამო ინდივიდი ხშირად იღებს სხვა ქვეყანაში ცხოვრების გადაწყვეტილებას, სადაც, მისი აზრით, თვითიდენტიფიკაციასთან და თვითრეალიზაციასთან დაკავშირებით პრობლემები არ შეექმნება.

მოცემულმა კვლევამ ნათლად ასახა ინტერნეტ კომუნიკაციების როლი თბილისელ ლესბი ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრებაში; მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ინდივიდი ვირტუალურ სივრცეს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებს, კომუნიკაციის ამ სახეობის უნიკალურობას არავინ უარყოფს.

საყურადღებოა სოციალური სტატუსების მნიშვნელოვნება თბილისელ ლესბი ქალთა ვირტუალურ საზოგადოებაში. რაც უფრო დაბალი სოციალური სტატუსის მატარებელია ინდივიდი, მით უფრო მოწყვლადი ხდება იგი თავისი სექსუალობის გამო გარე სამყაროსთან კონტაქტისას, მაშინ, როდესაც მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ინდივიდი თავს ბევრად ლაღად და შეუზღუდავად გრძნობს ყველაზე აგრესიულად განწყობილ გარემოშიც კი. ამიტომ, მატერიალური დამოუკიდებლობა ხშირად განსაზღვრავს ინდივიდის პირადი დამოუკიდებლობის ხარისხსა და თვალსაწიერის სიფართოვეს. თუმცა, კვლევამ ისიც აჩვენა, რომ თბილისელი ლესბოსელების პრობლემები მხოლოდ და მხოლოდ სოციალური სტატუსით არ შემოიფარგლება. საზოგადოებაში აგრერიგად ფესვგადგმული პატრიარქალური სტერეოტიპები მოდერნული აზროვნების წინააღმდეგ ბრძოლაში ხშირად ბევრად ძლიერი და გავლენიანია. ამ ტენდენციას ხელს უწყობს ინდივიდის შიში, “მოკვეთილ” არ იქნას სარწმუნოებრივი ცხოვრების, ოჯახის ინსტიტუტის, მეგობარ-ახლობელთა წრისაგან.

კვლევის შედეგების უფრო თვალსაჩინოდ წარმოსადგენად შევადგინე ოთხი კვადრანტისგან შემდგარი შემაჯამებელი სქემა, რომელშიც ნაჩვენებია რეალური და ვირტუალური სამყაროების როლი, მათი გადაკვეთისა და თანხვედრის წერტილები თბილისელ ლესბი ქალთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. სქემა დაფუძნებულია კვლევის გენერალურ დასკვნებზე და, რასაკვირველია, ასახავს მის განზოგადებულ სურათს (რაც არ ვრცელდება ერთეულ და გამონაკლის შემთხვევებზე).

როგორც სქემიდან ჩანს, თბილისელ ლესბი ქალთა შორის აგრერიგად პოპულარულ ინტერნეტ კომუნიკაციას მათ ცხოვრებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი უკავია. დაბალი სოციალური სტატუსის მქონე რესპონდენტებისთვის აგრერიგად მტკივნეული ექსკლუზიის პრობლემას ინტერნეტი შლის და შეუმჩნეველს ხდის. სამაგიეროდ, ვირტუალური კომუნიკაცია აღრმავებს და ამწვავებს რელიგიურ-ეთიკური რიტორიკის მქონე ლესბოსელთა პრობლემებს: ხშირად ისინი თავიანთი რწმენა-წარმოდგენების ტყვეობაში ექცევიან და საბოლოოდ ყველასთვის (მათ შორის მათთვისაც) ბუნდოვანი რჩება მათ მიერ ინტერნეტის მოხმარების მიზნები.



სქემაში ყველაზე “პრივილეგირებულ” ადგილზე მოექცნენ მაღალი სოციალური სტატუსის მქონე პირები. როგორც ჩანს, დღევანდელი თბილისის რეალობა სხვა დანარჩენი კატეგორიისგან განსხვავებით, მათთვის ყველაზე ნაკლებ პრობლემას ქმნის საკუთარი სექსუალობის უპრობლემოდ/გაცილებით უპრობლემოდ დეკლარირების თვალსაზრისით.

ინტერნეტის მეშვეობით თბილისელ ლესბოსელ ქალთა სოციალური აქტივობის შესწავლისას მეტად თვალშისაცემი ფაქტორია იმ საურთიერთო სივრცეების კატასტროფული ნაკლებობა (ხშირ შემთხვევებში არარსებობაც), სადაც ინდივიდებს დაუბრკოლებელი და უშუალო კომუნიკაცია ექნებოდათ ერთმანეთთან. თავისი მხრივ, ეს ფაქტორი განაპირობებს ინფორმაციულ ვაკუუმსა და პატრიარქალური რწმენა-წარმოდგენების სიმყარეს დასახალეული ჯგუფის წევრთა შორის. საზოგადოების მკვეთრად უარყოფითი განწყობა ინდივიდის ჰომოსექსუალობის მიმართ ინდივიდს აიძულებს, ეძებოს თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციის ის გზა, რომელიც მისთვის ყველაზე უფრო მისაღებია. აქედან გამომდინარე, ხშირია შემთხვევები, როდესაც ინსტიტუციურ დისკრიმინაციასთან ერთად (როდესაც ინდივიდის გარკვეული ნიშნით დისკრიმინაციას ეწევა საზოგადოება, მისი დიდი ჯგუფი, ორგანიზაცია ან სოციალური ინსტიტუტი), საქმე გვაქვს ინტერნალიზირებულ ჰომოფობიასთან, რაც მოცემული სიტუაციის გათვალისწინებით, სავსებით ლოგიკურია.

## ბიბლიოგრაფია

1. ეკა აღდგომელაშვილი, ჰომოსექსუალობის/ჰომოსექსუალების რეპრეზენტირება ქართულ მას-მედიაში, 2005 [http://www.inclusive-foundation.org/home/files/media\\_analysis\\_ka.pdf](http://www.inclusive-foundation.org/home/files/media_analysis_ka.pdf), ვებ-რესურსის ბოლო მონახულების ვადა – 30.05.2010
2. E.Goffman. Stigma: Notes on the Management of Spoiled Identity. NY.: Prentice-Hall, 1963 34-37
3. Reid, Elizabeth. 1991. Electropolis: Communication and community on internet relay chat. Thesis, Dept. of History, University of Melbourne
4. Suler, J. (1999b). Internet demographics 1998. The Psychology of Cyberspace [On-line]. Available: <http://www.rider.edu/users/suler/psycyber/stats.html>; ვებ-რესურსის ბოლო მონახულების ვადა – 30.05.2010
5. Turkle, Sh. "Virtuality and its Discontents: Searching for Community in Cyberspace." The American Prospect 24 (1996)
6. Turkle, Sh. "Multiple Subjectivity and Virtual Community at the End of the Freudian Century." Sociological Inquiry 67, no. 1 (1997)
7. Turkle, Sh. Constructions and reconstructions of self in virtual reality: Playing in the MUDs// Culture of the Internet. (Sara Kiesler, Ed.), pp. 143-155. Lawrence Erlbaum Associates, Inc., Publishers, Mahwah, NJ, US, 1997.
8. Гладарев Б. Дневниковый метод в изучении социальных сетей. Социология 4М, №14. 2001.
9. Кон И., Можно ли восстановить статью 121? <http://www.pseudology.org/Kon/Zametki/MozhnoLi121.htm> ვებ-რესურსის ბოლო მონახულების ვადა – 30.05.2010
10. Кософски, Седжвик Ив. Эпистемология чулана. Москва: Идея-Пресс, 2002.
11. Здравомыслова Е.А., Тёмкина А.А. Государственное конструирование гендера в советском обществе // Журнал исследований социальной политики. 2004. Т. 1. No 3-4. С. 299-321.
12. Здравомыслова Е., Темкина А. Социальная конструкция гендера и гендерная система в России// Гендерное измерение социальной и политической активности в переходный период. СПб.: Печатный двор, 1996.